

3-253

1

ქართვალს სსრ მუხნიერებათა აკადემიი

მუხნიერება სარჭოთა
საქარტვალუნი
25 წლის მუხნიერება

III

ფილოსოფია — ფსიქოლოგია
კლავოგია — ენათმუხნიერება
ლიგერაგურის ისტორია — სარტალი

საქარტვალს სსრ მუხნიერებათა აკადემიის გარეგანობა
1946

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

მეცნიერება საბჭოთა
საქართველოში
25 წლის მანძილზე



ფილოსოფია — ფსიქოლოგია
კლასიკიკა — ენათმეცნიერება
ლიტერატურის ისტორია — სამართალი



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
1946

ფ-253

ენათმეცნიერება

1. ენათმეცნიერული მუშაობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში¹

ქართულ საენათმეცნიერო-გრამატიკულ აზროვნებას—ისე როგორც მეცნიერების სხვა დარგებსაც—უძველესი ტრადიციები აქვს საქართველოში: ამას მეტად დამაჯერებლად ადასტურებენ მონაცემები და ჩვენებანი იმ პირველხარისხიანი უხვი წერილობითი—ეპიგრაფიკული და წიგნური—ძეგლებისა, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ და რომლებიც, უძველესი, მხოლოდ ნაწილსლა წარმოადგენენ უფრო დიდი საგანძურისას. ამ ძეგლებში ასახული დახვეწილი ენა და დაწერილობა—ეპოქების მიხედვით მთლიანი დ. ნარჩენებული—შეუძლებელია არსებულიყო უძველესი სალიტერატურო ტრადიციის გარეშე და, მაშასადამე, მაღალი გრამატიკული და დროის შესაფერისი საენათმეცნიერო აზროვნების გარეშე.

ასეთი ღრმა ტრადიციის გარეშე შეუძლებელია შექმნილიყო XVIII საუკუნის ისეთი ღირსშესანიშნავი ლექსიკოლოგიური ნაშრომი, როგორიცაა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი². თვით ანტონ I-ის საენათმეცნიერო-საგრამატიკო მოღვაწეობა და მისი გრამატიკული სკოლის არსებობაც ძველ ტრადიციას მოწმობს.

1. ნარკვევში წარმოდგენილია ქართული საბჭოთა ენათმეცნიერების მოკლე მიმოხილვა. იგი არაა ქართული ენათმეცნიერების ისტორია და ამდენად სათანადო სიპრუღით ვერაა გათვალისწინებული ის მრავალფეროვანი—შემეცნებითი ღირებულების მქონე—პრობლემატიკა, რომელიც მუშავდებოდა ამ წლების მანძილზე. ცხადია აგრეთვე, რომ არ უძებნით ქართველური ენათმეცნიერების წარმომადგენლებს საქართველოს გარეთ.

ნარკვევი ძირითადად წარმოდგენს ცალკეული საენათმეცნიერო ნაშრომების კრიტიკულ-ისტორიული შესწავლის შედეგს. ნშირად კი იგი ემყარება სხვა ანალოგიურ მიმოხილვებს, როგორიცაა:

1) ს. ჯანაშია. საზოგადოებრივი მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლის თავზე. «ენიშვი-ს მოამბე», ტ. I, 1937, გვ. XI—XL.

2) ივ. ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. თბილისი, 1937, გვ. 1—91, თავი: „ქართულ-ქართველურისა და გ. წ. კავკასიის ენების შესახებ მწერლობის მოკლე მიმოხილვა“.

3) გ. ახვლედიანი. თბილისის უნივერსიტეტი და ენათმეცნიერება საქართველოში. «სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის შრომები», ტ. XIX, 1941, გვ. 155—186.

4) არნ. ჩიქობავა. მთის კავკასიურ ენათა შესწავლისათვის ჩვენში. «ენიშვი-ს მოამბე», ტ. XII, 1942, გვ. 283—301.

² სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. ი. ვიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით. თბილისი, 1928. წინასიტყვაობა, გვ. VIII.

XIX საუკუნის მანძილზედაც კი იგრძნობოდა ძველი ტრადიცია: მიუხედავად პოლიტიკურად და საზოგადოებრივად უფლების აყრისა, ერის მოწინავე შვილები (პლატონ იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, დ. ყიფიანი, თედო ჟორდანიძე, მ. ჯანაშვილი, ი. გოგებაშვილი, ს. ხუნდაძე, პ. ჭარბია და სხვანი) მაინც არ სწყვეტდნენ ტრადიციის ხაზს გრამატიკული აზროვნების დარგში.

უნდა აღინიშნოს ოღონდ, რომ ენათმეცნიერული მუშაობა საქართველოში ამ პერიოდში უმთავრესად ისახავდა პრაქტიკულ მიზნებს (სკოლის მომსახურება სახელმძღვანელოებით, სალიტერატურო ენის ნორმების მოწესრიგება, ლექსიკონების შედგენა, სახელმძღვანელოები მთარგმნელთათვის და სხვა). მეცნიერული კვლევა-ძიება ქართული ენისა (ნაწილობრივ მონათესავე სვანურისა და მეგრულ-ქანურისა, უფრო ნაკლებად ქართული ენის დიალექტებისა) კი საქართველოს გარეთ—საუნივერსიტეტო ცენტრებში: ლენინგრადსა და მოსკოვში წარმოებდა. საქართველოში არსებობდა მუზეუმები, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელნიც დროდადრო ქართული ენის შესასწავლად საჭირო მასალის შეკრებასა და ზოგიერთი საკითხის კვლევასაც აქცევდნენ ყურადღებას. სამწუხაროდ, მათი მუშაობა არ იყო სასურველი მასშტაბისა და ხარისხისა.

მართალია, ქართულ პერიოდულ პრესაში (და ცალკე გამოცემის სახითაც) ზოგჯერ ქვეყნდებოდა ორიგინალური, საყურადღებო საენათმეცნიერო გამოკვლევები, მაგრამ მათი მეცნიერული ღირებულება სათანადო დონეზე არ იდგა. უფრო ჩვეულებრივი იყო სხვა ენაზე დაწერილ ნაშრომთა ვადმოთარგმნა, ანდა მათი რეფერატ-მიმოხილვების გამოქვეყნება.

სკოლისა და სხვა დაწესებულებათა გარუსების პოლიტიკის პირობებში და შესაფერი სამეცნიერო დაწესებულების უქონლობის გამო, სრულიად ბუნებრივია, რომ აღარ მოხერხდა საქართველოში სასკოლო პრაქტიკული გრამატიკისათვის თავის დაღწევა. როდესაც სხვა ქვეყნებში, კერძოდ რუსეთში, ენათმეცნიერული აზროვნება უკვე მაღალ საფეხურზე ავიდა, ჩვენში დამყარდა სასკოლო გრამატიკის ტრადიცია პრიმიტიული მეთოდოლოგიით—ფილოლოგიურ-ლოგიცისტური გრამატიკის მეთოდოლოგიით. საქართველოს გარეთ კი ქართული ხალხის შვილები საგრძნობი რაოდენობით ეწეოდნენ მეცნიერულ მუშაობას, კერძოდ, ენათმეცნიერებასა და ფილოლოგიაში, და ზოგიერთი მათგანი დიდი მეცნიერის სახელსაც იხვეჭდა. ასეთები იყვნენ, მაგ., დ. ჩუბინაშვილი, ა. ცაგარელი, ა. ხახანაშვილი, ივ. ჯავახიშვილი (თბილ. უნივერსიტეტის დაარსებამდის), ი. ყიფშიძე, განსაკუთრებით კი აკად. ნ. მარო.

სასკოლო პრიმიტიულმა გრამატიკებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს, რამდენადაც, იმ დროს. ზოგი მათგანი კარგა ხანს ემსახურებოდა ჩვენს საზოგადოებასა და ქართულ სალიტერატურო ენას უნივერსიტეტის დაარსების შემდეგაც, სანამ მეცნიერულმა გრამატიკამ ფეხი არ მოიკიდა ჩვენს საზოგადოებასა და სკოლაში. ცნობილია, ს. ხუნდაძის „ქართული გრამატიკის“

დიდი დამსახურება სკოლაგავლილ ახალგაზრდობაში ქართული ენის სიყვარულისა და სალიტერატურო ქართული ნორმების დანერგვის საქმეში, თუმცა ქართული ენა ჯერ კიდევ არ იყო იმდენად შესწავლილი, რომ თვით ეს ნორმები ყოფილიყო მის მიერ სწორად დადგენილი.

საჭირო იყო ოქტომბრის დიდი რევოლუცია, რომ დამსხვრეულიყო ქართველი ხალხის ნიჭიერების შემოქმედი პირობები და აღორძინებულიყო ეროვნული შემოქმედება სოციალისტური შინაარსით, განვითარებულიყო ქართული მეცნიერება და მათ შორის ენათმეცნიერებაც.

2. ქართული ენათმეცნიერება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ

ენათმეცნიერების ახალ საფუძველზე განვითარება გამოიწვია თბილისის უნივერსიტეტის დაარსებამ, რომელშიც ქართული და მონათესავე ენების მეცნიერული შესწავლის საქმეს იმთავითვე საფუძვლად დაედო შედარებით-ისტორიული მეთოდოლოგიის პრინციპები, შესასწავლი ობიექტის ღრმა, ყოველმხრივი კვლევა-ძიება, მსოფლიო ენათმეცნიერების მიღწევების გათვალისწინება და სათანადო კრიტიკული გამოყენება. ქართული ენათმეცნიერული აზროვნება განუყრელია თბილისის უნივერსიტეტის სახელთან: ქართული ენათმეცნიერება — სხვადასხვა საენათმეცნიერო დარგის ჩასახვა-განვითარება ქართულ ენაზე და ენათმეცნიერული ინტერესების გაღვივება ფართო მასებში — დაიწყო (და იზრდება უმთავრესად) თბილისის უნივერსიტეტში და უნივერსიტეტის იმ გზებით, რომლებითაც იგი იმთავითვე მჭიდროდ დაუკავშირდა ფართო საზოგადოებრიობას.

მართალია, საენათმეცნიერო მუშაობა შემდეგში მიმდინარეობდა უნივერსიტეტის გარეშეც (ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებაში 1923 წლიდან, ენიმკი-ში 1936 წლიდან) და წარმატებით მიმდინარეობს ამჟამად აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტში (1941 წლიდან), მაგრამ ეს მუშაობა არსებითად დაკავშირებულია იმავე თბილისის უნივერსიტეტთან არა მხოლოდ მეცნიერებისა და ფილიაციის ძალით, არამედ საერთო მეთოდოლოგიით, მიზანდასახულებითა და მიმართულებითაც: თბილისის უნივერსიტეტი ქართული ენათმეცნიერების კერად უნდა მივიჩნიოთ. ქართული ენათმეცნიერების აკადემიკოსი თბილისის უნივერსიტეტია, სადაც ჩაისახა და განვითარდა არა ერთი და ორი ათეული სხვა სამეცნიერო დარგი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დახმარებითა და ხელმძღვანელობით და აკად. ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით, რომელიც იმთავითვე — სიცოცხლის ბოლო წუთებამდე განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით ეპყრობოდა საენათმეცნიერო დისციპლინებსაც. სწორედ აქ — უნივერსიტეტში გამოქვეყნდა ისეთი საენათმეცნიერო ნაშრომი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართული ენის კვლევაში — აკაკი შანისძის გამოკვლევა „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920). ამ

შრომამ ცხადი გახადა, თუ საითკენ უნდა წარმართულიყო ჩვენს პირობებში ქართული ენათმეცნიერებისა და იმ ორი ახალგაზრდა ენათმეცნიერის (ა. შანიძისა და გ. ახვლედიანის) მუშაობა, რომლებიც ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით სათავეში უდგნენ ქართველურ და ზოგად ენათმეცნიერებას (მხოლოდ ორის, რადგანაც მათზე უფროსი და უკვე მაშინ გაზოგინილი ქართ-ველოლოგი—ენათმეცნიერი, პროფ. იოსებ ყიფშიძე, რომელმაც საფუძ-ველი ჩაუყარა მეგრულ-ქანურის კვლევას თავისი ფუძემდებელი შრომებით, უკვე 1919 წელს დაკარგა უნივერსიტეტმა. ის ვერ მოესწრო იმ დღესაც კი, როცა მისმა თანასპეციალისტმა, ახალგაზრდა მეცნიერმა აკ. შანიძემ სადოქტო-რო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა ზემოხსენებული ნაშრომი. ეს იყო თბი-ლისის უნივერსიტეტში დისერტაციის პირველი დაცვა).

მათი სასწავლო-სამეცნიერო მუშაობა უნდა მიმართულიყო—და მიიმართა კიდევ—პირველ რიგში მაღალკვალიფიციურებულ მასწავლებელთა კადრების მომზადებისაკენ განახლებული და გაეროვნებული სკოლისათვის, რომელი კად-რებიც, ენათმეცნიერულ აზროვნებაში გაწვრთნილნი და ქართული ენათმეცნიე-რების მიღწევებში გარკვეულნი, შეიტანდნენ სკოლაში სალიტერატურო ქარ-თულის მეცნიერულ-გრამატიკულ გაგებას. ეს თავისთავად გულისხმობდა ქარ-თულ-ქართველურ ენებზე საკვლევო მუშაობის გაშლას: ამიტომ არანაკლებ საშური იყო სამეცნიერო კადრების მომზადებაც.

თავდაპირველად უნივერსიტეტში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ორი კათედ-რა: ზოგადი ენათმეცნიერებისა (გამგე გ. ახვლედიანი) და ქართული ენისა (გამგე პირველად პროფ. ი. ყიფშიძე—გარდაიცვალა 1919 წ. შემდეგ—აკ. შა-ნიძე¹). ამ ორ კათედრას უხდებოდა კვლევა-ძიების მეთაურობა და სათანადო კადრების მომზადება ენათმეცნიერების თითქმის ყველა დარგში: ქართველურ ენათმეცნიერებაში (ქართული, სვანური, მეგრულ-ქანური, ქართული დიალექ-ტოლოგია, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა), არაბისტიკაში, თურქო-ლოგიაში, სლავურ ენათმეცნიერებასა და ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში (წარმოდგენილი იყო: ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკა, გუთური, სანსკრიტი, ძვ. ირანული ენები, ოსური, ბერძნული). შედგენილობითაც ეს ორი კათედრა მცირერიცხოვანი იყო: ხელმძღვანელობდა ორი სპეციალისტი ენათ-მეცნიერი და თანამუშაობდა რამდენიმე პირი ფილოლოგთაგან.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი შეიქმნა არაჩვეულებრივად ხელსაყრელი პირობები, რათა ენათმეცნიერული მუშაობა ფართოდ გაშლილი-ყო. პირველ რიგში ცვლილებები მოხდა ორგანიზაციულად: თანდათან გაი-ზარდა საენათმეცნიერო კათედრათა რიცხვი თვით უნივერსიტეტში: ნაცვლად ორი კათედრისა ამჟამად უნივერსიტეტში გვაქვს 12 კათედრა, რომელნიც კი ენათმეცნიერულ მუშაობას ეწევიან. ეს კათედრებია: 1. ძველი ქართული ენისა (გამგე—ა. შანიძე), 2. ახალი ქართული ენისა (გამგე—ვ. თოფური), 3. ზოგა-დი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკისა (გამგე—გ. ახვლედიანი), 4. მთის კავ-კასიურ ენათა (გამგე—არნ. ჩიქოვავა), 5. სემიტოლოგიისა (გამგე—გ. წერე-

1. «ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918—1928», ტფილისი, 1928 წ. ა. შანიძე. პუბლიკაციური ფაქულტეტი, გვ. 76.

თელი), 6. თურქოლოგიისა (გამგე—ს. ჯიქია), 7. ირანოლოგიისა (გამგე—ი. აბულაძე), 8. ინდურ-ირანული ენათმეცნიერებისა (გამგე—გ. ახვლედიანი), 9. რუსული ენისა (გამგე—დ. მგელაძე), 10. უცხო ენებისა (გამგე—ნ. ქადაგიძე), 11. კლასიკური ფილოლოგიისა (გამგე—ს. ყაუხჩიშვილი), 12. არმენოლოგიისა (გამგე—ლ. მელიქსეთ-ბეგი). კათედრებთან არის ქართულ, რუსულ და უცხო ენათა კაბინეტები და ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია.

არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა თავის დროზე საქართველოში ენათმეცნიერების განვითარების საქმეში ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების დაარსებას 1923 წელს. საზოგადოებამ გააღრმავა საენათმეცნიერო კვლევა-ძიება და, რაც მნიშვნელოვანია, ფართო საზოგადოებაში გაიტანა თავისი მუშაობის შედეგები. მან გამოსცა კრებული «წელიწდეული» I—II, 1923—1924, რომელშიც მოთავსებულია საპროგრამო წერილები როგორც ზოგადი ენათმეცნიერების პრინციპების შესახებ, ისე გათვალისწინებულია ქართველურ ენათა მეცნიერული შესწავლის ამოცანები და მოცემულია კვლევა-ძიების სათანადო ნიმუშები (ავტორები: ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, ს. ჯანაშია, გ. თოფურიძე).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქართული ენათმეცნიერების განვითარებაში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის დაარსებასთან დაკავშირებული სადირექტივო ორგანოების დადგენილებით ჩატარებული რეორგანიზაცია (1936¹ წლის გაზაფხული) იქამოდ არსებული „კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტისა“. სრულიად ახალ საფუძველზე ჩამოყალიბდა აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი¹, სადაც ფართოდ გაიშალა ახალი მიმართულებით მუშაობა შემდეგ საენათმეცნიერო განყოფილებებში: 1. ქართველურ ენათა (გამგე—ა. შანიძე), 2. ზოგადი ენათმეცნიერებისა და ექსპერიმენტული ფონეტიკისა (გამგე—გ. ახვლედიანი), 3. მთის კავკასიურ ენათა (გამგე—არნ. ჩიქობავა), 4. ახლო აღმოსავლეთის ენათა (გამგე—გ. წერეთელი), 5. ლექსიკოლოგიისა (გამგე—ვ. თოფურიძე), 6. სამეცნიერო ტერმინოლოგიისა (გამგე—ვ. ბერიძე).

ენიმიკი-ს ამ განყოფილებებში მოხდა კონსოლიდაცია საენათმეცნიერო კვლევა-ძიებისა და 1936—1945 წლებში ქართულმა ენათმეცნიერებამ გაცხოველებული და ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა. ეს წლები საერთოდ არის ქართული მეცნიერების განახლებისა და აღორძინების წლები. ამგვარმა ვითარებამ სათანადო შეფასება მიიღო საბჭოთა საზოგადოებრიობისა და სადირექტივო ორგანოების მხრივ და 25 თებერვალს 1941 წ.—საქართველოში საბჭოთა ბელოსუფლების დამყარების 20 წლის თავზე—დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ამ უაღრესად დიდი პოლიტიკური და კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტმა ახალი აღმავლობა გამოიწვია მეცნიერების კვლევა-ძიებაში საქართველოში და, ცხადია, ენათმეცნიერებაშიც. პირველ რიგში—

1. ამის შესახებ იხ. ს. ჯანაშია, მოკლე ანგარიში აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტისა და მისი სამეცნიერო სამუშაოების შესახებ 1936—1944 წწ. «ენიმიკი-ს მოამბე», ტ. XIV, გვ. 375 შმშ.

განიზაციულად ჩამოყალიბდა ცალკე „ენის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახელობისა“, რომელშიც შენახულ იქნა ენიმკი-ს საენათმეცნიერო განყოფილებათა სტრუქტურა და რომლის დაარსებით საენათმეცნიერო მუშაობას კიდევ უფრო ფართო პერსპექტივები გადაეშალა ჩვენში.

ამჟამად საქართველოში არსებობს ორი მძლავრი ცენტრი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ესენი წარმართავენ საენათმეცნიერო მუშაობას მთელ საქართველოში.

* *

განახლებულმა საზოგადოებრივმა და მეცნიერულმა ცხოვრებამ იმთავითვე სასიამოვნო, მაგრამ მძიმე მოთხოვნილებები წაუყენა ქართველ ენათმეცნიერებსა და ფილოლოგებს.

პირველ ყოვლისა ქართულმა ენათმეცნიერებამ იმთავითვე გაითვალისწინა ძირითადი მიზნები, რომლებიც საფუძვლად ედება მთელს შემდგომ მუშაობას. სახელდობრ, ყურადღების ცენტრშია ქართული კულტურის გენეზისის მეცნიერული დადგენა, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული წარსულის გათვალისწინება უხსოვარი დროიდან, მისი ისტორიული ფესვებისა და შემდგომი განვითარების გზების გამოკვლევა. ამ მიზნის განხორციელებას ემსახურება მეცნიერების სხვადასხვა დარგი საქართველოში და მათ შორის ენათმეცნიერებაც. მართლაც, ამ მიზნის განხორციელება შეუძლებელი იყო და შეუძლებელია გარეშე ქართულის (და სხვა ქართველური ენების—მეგრულ-ჭანურისა და სვანურის) გენეზისის და მათი სტრუქტურისა და ისტორიული განვითარების გათვალისწინებლად. თავის მხრივ ქართულისა და სხვა ქართველური ენების ისტორიული განვითარების უძველესი ეტაპების გათვალისწინება არ მოხერხდება, თუ მთის კავკასიურ ენათა (აფხაზურ-აბღღურის, ჩაჩურ-ინგუშურის, დაღესტნურ ენათა) ჩვენებანი არ იქნა ფართოდ გამოყენებული.

მეორე მხრით, „საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის არა ერთ გამოჩენილ მკვლევარს—ისტორიკოსს თუ ენათმეცნიერს—გამოუთქვამს მტკიცე რწმენა—ქართველური და მთის კავკასიური ენები გენეტურად უკავშირდებიან კაცობრიობის უძველესი ცივილიზაციის შემქმნელ ხალხთა ენებსაო“. ა. დირი მიუთითებდა 1928 წელს: „დღესდღეობით კავკასიურ ენებს ამ სიტყვის ფართო გაგებით—განუკუთვნებენ წინა აზიის და ხმელთაშუა ზღვის ენათა მთელ წყებას, რომელთაგან ერთადერთი ენა ბასკურია, რომ ჯერ კიდევ ცოცხლობს“.

ალფ. ტრომბეტის თავის შრომაში „ენათმეცნიერების ელემენტები“ (I, გვ. 104)—განაგრძობს ა. დირი—საქმის ვითარებას ამგვარად წარმოგვიდგენს: „ჩვენ უნდა დავეთანხმოთ შუხარდტსა და სხვა მკვლევრებს იმაში, რომ კავკასიურ ენათა ოდინდელ ჯგუფს მეტ-ნაკლებად უშუალოდ უკავშირდება უძველესი ენები, რომელთაც მე სამ ჯგუფად ვყოფ: 1. 1. ხალღური ანუ ვანური „ურარტული“, წინარე-სომხური, 2. მიტანი, 3. ჯალღური და კოსეიური ანუ კასპიური, 4. ხეთური და არზავი.

II. 1. მცირე-აზიის აბორიგენული ენები (ლიკიური, ლიდიური, კარიული, მიზიური, შემდეგ პისიდიური, ისაურიული, ლიკაონური და კაპადოკიური), 2. ებრაული და ლემნიური, 3. კრეტული.

III. 1. იბერული და ბასკური“ (იხ. დ ი რ ი ს „შესავალი კავკასიურ ენათა შესწავლაში“, გვ. 25—27)¹.

ასეთი შეხედულება შემთხვევით არ დამკვიდრებულა: მთელი კულტურულ-ისტორიული კონტექსტი ამას გვიკარნახებს. ამასვე გვაფიქრებინებს ამ ენათა ზოგადი თვისებები. ამგვარი ისტორიული პერსპექტივის მნიშვნელობასა და ნაყოფიერებაზე კვლევა-ძიებისათვის მიუთითებდა აგრეთვე საბუღოვანი ქართველი ისტორიკოსი აკად. ივ. ჯავახიშვილი.

„ცნობილია, რომ მსოფლიო მეცნიერება უაღრესად დაინტერესებულია ქართველური და კავკასიური ენების ბუნებითა და მათი სხვა ენებთან, მათ შორის ხალდურ, ხეთურ და სუმერულთანაც, ნათესაობის საკითხებით, მათი თავდაპირველი სამშობლოსა და მერმინდელი გადმოსახლების ისტორიით ისევე, როგორც საკვები მცენარეებისა და შინაური ცხოველების სადაფრობისა და შერჩევის, დასასრულ, ლითონის კულტურის ისტორიის ამოცანებითაც. ამაზე უკვე მრავალი გამოკვლევაა გამოქვეყნებული, უმთავრესად უცხოეთში, საკვები მცენარეების შესახებ-კი, აკად. ვ ა ვ ი ლ ო ვ ი ს თაოსნობით, საბჭოთა კავშირში და თვით საქართველოშიც. სრულებით ბუნებრივია, რომ ზემოაღნიშნული საკითხებით მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის დაწესებულებანი და ცალკეული ქართველი მეცნიერებიც იყვნენ დაინტერესებულნი. მეტის თქმაც შეიძლება: ამ პრობლემების მეცნიერული შესწავლა ჩვენს უპირველეს მოვალეობასაც კი უნდა შეადგენდეს, რადგან ეს ენათმეცნიერული საკითხები უშუალოდ ჩვენვე გვეხება, ხოლო კულტურული ისტორიის ზემოაღნიშნული ამოცანების გადასაჭრელადაც პირველხარისხიანი მასალები ჩვენში უზად მოიპოვება და შედარებით უფრო ადვილი მისაწვდომიც არის. რამდენადაც უფრო ძველანა ვალდებულია მსოფლიო მეცნიერების საგანძურში თავისი წვლილი შეიტანოს, იმდენად ქართული მეცნიერებაც, საქართველოს ფილიალიცა და ცალკეული მეცნიერებიც მოვალენი არიან ამ პრობლემების შესწავლას უდიდესი ყურადღება მიაქციონ მით უმეტეს, რომ ეს ამასთანავე ჩვენი ხალხის წარსული კულტურის ახალ-ახალს ცოდნას შეგვძენს და ძველს გაგვიღრმავებს“².

ამ მეცნიერული მიზნების გვერდით ქართული ენათმეცნიერების წინაშე წამოიჭრა არა ნაკლებ საყურადღებო პრაქტიკული ამოცანები: სალიტერატურო ქართულის ნორმების დადგენა გადაუღებელი საქმე იყო, რადგანაც სწავლა-წერ-ლასათვის ხელმისაწვდომი გახდა გაეროვნებულ სკოლაში, სადაც ყველა საგანი ქართულ ენაზე ისწავლებოდა. ასეთ პირობებში სალიტერატურო ენის ნორმების უქონლობა ხიფათს უმზადებს ერის სალიტერატურო ენას გადაუღებელი იყო სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა მრავალი დარგისათვის როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სკოლისათვის. საჭირო იყო შემოწმებული ენისა და

1. არ ნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, მთის კავკ. ენათა შესწავლისათვის ხელშეწყობა, გვ. 253—4.

2. ივ. ჯავახიშვილი, ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში: ენოიკი-ს მოამბე, ტ. I. 1937, გვ. 1.

შინაარსის მხრით ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები, ხოლო ყველა სხვა დარგისა—ენის მხრით: ენათმეცნიერ-ფილოლოგებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ განსახკომის საპროგრამო და მეთოდურ მუშაობაში და სხვადასხვა.

ამ საპასუხისმგებლო საქმეში ენათმეცნიერებთან ერთად განუწყვეტლივ მონაწილეობდნენ ფილოლოგები, მომიჯნავე დარგების სპეციალისტები და მოწინავე პედაგოგები (კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე, ვ. ბერიძე, გ. ნათაძე, და სხვა.), რომელთაც თანდათან ემატებოდნენ ახლად მომზადებული კადრები (ა. ჩიქობავა, ვ. თოფჩუჩია, ს. ჯანაშია, ს. ყაუხჩიშვილი და სხვა). ეს პირები—გაერთიანებული ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, 25 წლის განმავლობაში შეუწელებლივ ეწეოდნენ ამ დიდმნიშვნელოვან შრომას ქართული სკოლისა და ქართული მეცნიერებისათვის.

ბუნებრივია, რომ ქართულმა ენათმეცნიერებამ ამგვარი ფართო—თეორიული და პრაქტიკული—მიზნების დასახვით იმთავითვე ყურადღება მიაპყრო ენათმეცნიერულ ძირითად **თეორიულ** საკითხებს. მართლაც, მუშაობის ცენტრში მოექცა კარდინალური საენათმეცნიერო პრობლემები, რომელთაგან ზოგს ზოგადი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ენიჭებოდა და ენიჭება ახლაც. ამგვარი ხასიათისაა, მაგალითად, პრობლემები: 1. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა ქართველურსა და მთის კავკასიურ ენებში, 2. გარდამავალი ზმნის ბუნება ქართველურსა და კავკასიურ ენებში (მცირე აზიის ძველ ენებთან მიმართებით), 3. ბრუნების სისტემა კავკასიურ ენებში და მისი თავისებურებანი, 4. ზმნის სპეციფიკური კატეგორიები ქართველურსა და კავკასიურ ენებში (პოლიპერსონალიზმი, ქცევა, პოტენციალისი, გზა, დრო-კილოთა სერიულობა, ინვერსია ხმნაში და სხვა), 5. გრამატიკული კლას-კატეგორია და მისი ასახვა ქართველურსა და კავკასიურ ენებში, 6. ქართველურ ენათა ფენები და მათი შედარებით-ისტორიული ანალიზი: ურთიერთმიმართება კავკასიურ ენებთან, 7. ქართველურ-კავკასიურ ენათა და წინა აზიის ძველ ენათა გენეტურ-ისტორიული ურთიერთობის პრობლემები (ფონეტიკური, გრამატიკული, ლექსიკური), 8. ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემები: ენის რაობა და ფუნქციები, ენის სოციალური და კლასობრივი ბუნება, ენის განვითარების კანონზომიერების პრობლემა, ენათა შერევის პრობლემა, ენის წარმოშობის პრობლემა და სხვადასხვა...

ამგვარი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად მთელი საენათმეცნიერო მუშაობა წარიმართებოდა და ამჟამადაც წარიმართება შემდეგი დარგების მიხედვით (სქემატურად): I. ქართველურ ენათა სტრუქტურული აღნაგობის შესწავლა შედარებით-ისტორიული თვალსაზრისით, II. მთის კავკასიურ ენათა სტრუქტურის შესწავლა ქართველურ ენებთან გენეტური ურთიერთობის თვალსაზრისით, III. ახლო აღმოსავლეთის ძველ და ახალ ენათა სტრუქტურის შესწავლა ქართველურ და კავკასიურ ენებთან გენეტური ურთიერთობის თვალსაზრისით, IV. ქართველურ ენათა ლექსიკის შესწავლა, V. ქართული ენის (თავდაპირველ ენების) დიალექტოლოგიური შესწავლა, VI. ქართული სა-
მეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავება და დადგენა, VII. ზოგადი ენათმეცნი-

ერების აქტუალურ პრობლემათა კვლევა (ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის საკითხებითურთ), აგრეთვე ინდოევროპულ ენათა კვლევა-ძიება, VIII. სკოლისა, უმაღლეს სასწავლებელთა და სხვა კულტურული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პრაქტიკულ-მეცნიერული მომსახურება.

ბუნებრივია, რომ ამ დარგების თანამიმდევრობით განვიხილოთ ის საენათმეცნიერო მუშაობა და ის მეცნიერული შედეგები, რომლებიც მოიპოვა ქართულმა ენათმეცნიერებამ საბჭოთა საქართველოში (1921 წლიდან დღემდე).

* *

I. ქართველური ენების სტრუქტურის კვლევა ისტორიულ-შედეგებითა თვალსაზრისით. ბუნებრივია, რომ ქართულმა ენათმეცნიერებამ ძირითადი ყუთადღება იმთავითვე მიაპყრო ქართველურ ენებს. მაგრამ მთავარი იყო ის ახალი თვალსაზრისი, რომელიც საფუძვლად დაედო ამ პერიოდის კვლევა-ძიებას. პირველ ყოვლისა მოხდა საკვლევი ობიექტის ზუსტი გამიჯვნა და დამკვიდრდა მართებული შეხედულება ენობრივი მოვლენების შესახებ. ძველი მკვლევრები—ისტორიული თვალსაზრისის უქონლობის გამო—ვერ არჩევდნენ, კერძოდ, ქართული ენის ისტორიულ საფეხურებს და ხშირად მათთვის ძველისა და ახალი ქართულის მოვლენები გამიჯნული არც ყოფილა; ეს ნათლად ჩანს XIX საუკ. გამოსულ ქართული ენის გრამატიკებში (მაგ. თ. ჟორდანიას გრამატიკაში¹). მეორე მხრივ, მონათესავე ენები (მეგრულ-ქანური, სვანური) მათ წარმოედგინათ ქართულის კილოებად², და ზოგჯერ არც მიაჩნდათ შესწავლის ღირსად. როდესაც ა. ცაგარელმა მიზნად დაისახა კვლევა მეგრულისა, ქანურისა და სვანურისა, და შეუდგა კიდევაც მათ შესწავლას, ამან გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში ერთგვარი გაუგებრობა და მითქმა-მოთქმა, რის გამოც მისი მეგრულის კვლევა ფონეტიკაზე შეწყდა³. რაც შეეხება ქართული ენის კილოებს, მათი შესწავლის შემეცნებითი ღირებულება სრულებით არ იყო გათვალისწინებული.

ახალი იყო კვლევის მეთოდოლოგიაც. ენობრივ მოვლენათა განხილვა წარმოებდა ისტორიულ-შედეგებითი თვალსაზრისით. წინათ გაბატონებული ფოლოლოგიურ-ლოგიცისტური მეთოდოლოგიის საპირისპიროდ ახლა ყოველი ცალკე მოვლენა (ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და სხვა) შეისწავლებოდა ისტორიულ განვითარებაში და საბუთდებოდა შედეგებითი მონაცემების მიხედვით.

ამგვარი კვლევა-ძიების ნიმუში მოცემული იყო უკვე აკ. შანიძის 1920 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში („სუბ. პრეფ. 2 პ. და ობ. პრეფ. 3 პ.“) ხოლო დასაბუთება წარმოდგენილია 1925 წელს „წელიწდეულის“ წინასიტყვაობაში და არნ. ჩიქოვას წერილში „ზოგადი თვალსაზრისისათვის“ (აქედან მომდინარეობს ქართველურ ენათა კვლევა-ძიებამ ამგვარი თვალსაზრისით და მეთოდოლოგიით).

1. ს. ჟორდანიძე. ახალი სალიტერატურო ქართული ისტორიკა III. თბილისი 1925, № 5—6, გვ. 209 შტდ.

2. ს. ხუნიდაძე. ქართული გრამატიკა. V გამოც., 1917, გვ. 201.

3. ა. შანიძე. ა. ცაგარელი. უნივ. მოამბე, ტ. X.

მოგვცა ნაყოფიერი შედეგი. ამ პერიოდის განმავლობაში დამუშავებულია მრავალი თემა, გამოქვეყნებულია ასეულობით ნაშრომი, რომელთა შორის მოიპოვება კაპიტალური მონოგრაფიული გამოკვლევები, სრული მიმოხილვები, საუნივერსიტეტო კურსები და სხვა.

განვიხილოთ ეს ნაკვლევი სათანადო ობიექტების მიხედვით.

ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით შესწავლა, ქართულისა და მონათესავე ენათა ისტორიის გათვალისწინება, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვდა ძველი ქართულის საფუძვლიან გამოკვლევას, კერძოდ, სათანადო ხელთნაწერი ტექსტების მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემას. ენათმეცნიერული მუშაობა იმთავითვე სწორედ ამ ორი ხაზით წარიმართა. ძველი ქართულის ახალ საფუძველზე კვლევის ნიმუში თვალსაჩინოდ მოგვცა პირველად ა. შანიძის გამოკვლევამ: „სუბიექტ. პრეფ. 2 პირისა და ობიექტ. პრეფ. 3 პირისა“, რომელშიც გარდა ამ ორი პირისა სხვა პირებიც და გზადაგზა ზმნის სხვა მორფოლოგიური კატეგორიებიც არის კვლევის საგნად ქცეული. ამავე ხასიათისაა მისივე ნაშრომი „ნასახელარი ზმნები ქართულში“ („უნივერს. მოამბე“, ტ. I, ნაკვ. 1, 1919).

მეტადრე გაჩაღდა ძველი ქართულის შესწავლა მას შემდეგ, რაც ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა 1923 წ. ქართული სალიტერატურო ენის უძველესი ძეგლები—ხანმეტი ტექსტები, ხოლო შემდეგ ა. შანიძემ—ჰაემეტი ტექსტები. ამ უძველესი (V—VIII საუკ.) ძეგლების ენას და ამასთან დაკავშირებულ საკითხებს წლების განმავლობაში მიეძღვნა მთელი რიგი გამოკვლევები, რომლებშიც გაშუქებულია ქართული ენის ისტორიის ბევრი საყურადღებო საკითხი. ასეთი ნაშრომებია: ი. ჯავახიშვილის, „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართ. ხელთნაწ. და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“ („ტფ. უნივ. მოამბე“, ტ. II, 1923). ამ ნაშრომში განხილულია უძველესი ხანმეტი ძეგლების ენობრივი ნიშნები, ხანმეტობის საფუძველი, ქართული ენის დიალექტთა ურთიერთობა უძველეს პერიოდში, აგრეთვე რიგი კულტურულ-ისტორიული საკითხი (სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება, ბიბლიის თარგმნა ქართულად და სხვა). მას თან ერთვის ხანმეტი ძეგლები. ა. შანიძის „ნაშთები შესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართ. ზმნებში“ („ტფ. უნივ. მოამბე“, II, 1923), რომელშიც დადასტურებულია ახალ ქართულშიც ხანმეტობის ნაშთები (ხ-არ, ხ-ვალ, ხ-ერთვისი, ხ-უცესი...) ხმოვნების წინ; მისივე—„ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში“ („უნივ. მოამბე“, ტ. II), რომელშიც გარკვეულია ტერმინი „ხანმეტ-ის“ მნიშვნელობა გიორგი მთაწმიდელთან (IX ს.); მისივე—„ხანმეტი მრავალთავი“ („ტფ. უნივ. მოამბე“, III, 1927); მისივე—„ქართული ხელთნაწერები გრაფში“ („უნივ. მოამბე“, ტ. III, 1929); მისივე—„ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართ. ენის ისტორიისათვის“ („ტფ. უნივ. მოამბე“, III, 1923), რომელშიც დახასიათებულია ტექსტების სადაც S, და O, გვხვდება ჰ (ხ-ს ნაცვლად), გარკვეულია ხანმეტი და მისივე ძეგლების დიალექტური მინართება; არნ. ჩიქობავას—„ხანმეტი და

ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენისათვის“ («ჩვ. მეცნ.», 1925, № 3/4), რომელშიც გარკვეულია ხანმეტი და ჰაემეტი ძეგლების ურთიერთობის საკითხი დიალექტური თვალსაზრისით, დასმულია ქართული ენის ისტორიის რიგი საკითხი და სხვადასხვანი.

ამ გამოკვლევებთან ერთად გამოცემულია ეს ძეგლებიც (ნაწილობრივ). ამ ძეგლების აღმოჩენითა და გამოქვეყნებით გაფართოვდა ჩვენი წარმოდგენა ძველი ქართული ლიტერატურის მოცულობისა და ქართ. სალიტერატურო ენის ხასიათის შესახებ უძველეს პერიოდში, დაისვა ისტორიული დიალექტოლოგიის საყურადღებო საკითხები და სხვა.

შემდგომშიც ხანმეტი და ჰაემეტი ძეგლების ჩვენებანი მუდმივად ყურადღების ცენტრში იყო, როცა კი ისმებოდა ქართული ენის ისტორიის საკითხები. ხანმეტი ძეგლების მონაცემებმა სხვა ძეგლების მასალასთან ერთად ხელი შეუწევს იმას, რომ ბევრი საკითხი ძველი ქართულისა და ქართული ენის ისტორიისა დასმულიყო და გადაწყვეტილიყო ახალი თვალსაზრისით. ამ მხრივ საყურადღებოა ისეთი ნაშრომები, როგორიცაა მაგალითად: ზემოხსენებული გამოკვლევები ი. ჯავახიშვილისა, ა. შანიძისა და აგრეთვე ა. ჩიქობავას რეც.: Н. Марр. Грамм. древнелитерат. грузинского языка («მიმოხილველი», I, 1926), რომელშიც მოცემულია ნ. მარის გრამატიკის საფუძვლები, რომელშიც მოცემულია ნ. მარის გრამატიკის საფუძვლების კრიტიკული ანალიზი და წარმოდგენილია დებულებები ძირითა სამთაბმოცნობის, მოთხრობითი ბრუნვის ბუნების, ზმნის აგებულების შესახებ, კერძოდ ძველ ქართულში; მისივე — „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში. I. ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველ ქართულში“ (თბილისი, 1928); წარმოდგენილია ერთ ნაწილში ძველი ქართულის სახელისა და ზმნის მორფოლოგიის ზოგადი ანალიზი, კერძოდ პოლიპერსონალიზმის საკითხი; ძირითად ნაწილში კი მოცემულია სახელისა და ზმნის სინტაქსური ურთიერთობის ძირითადი პრობლემები ძველ ქართულში; მისივე — „რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლ. ობიექტი ძველ ქართულში“ («უნივე. მოამბე», ტ. IX, 1928), რომელშიც დადგენილია სახელობითის ობიექტის ნიშანი ზმნაში -ენ II -ნ და მისი ხმარების წესები ძველ ქართულში; მისივე — „მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში“ («ენიკი-ს მოამბე», ტ. V-VI, 1940); გარკვეულია ნ. პირის უძველესი ნიშანი -ნ და მისი ხმარება სხვადასხვა დრო-კილოში, აგრეთვე დასმულია საკითხი დროთა ჩამოყალიბების ისტორიული თანამიმდევრობისა ქართულში; მისივე — „ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის“ («საქ. მეცნ. აკად. მოამბე», ტ. III, № 6, 1942), რომელშიც გათვალისწინებულია, ერთი მხრივ, სახელობითისა და მოთხრობითის — მარტოოდენ მსაზღვრელ ნაწილაკიანი ბრუნვების — წარმოქმნის ისტორია, ხოლო, მეორე მხრივ, დანარჩენ — ბრუნვის ნიშნებისა და მსაზღვრელი ნაწილაკის მქონე — ბრუნვათა ფორმანტებში ელვადობის ა-ხმოვნის გენეზისი და ფუნქცია; მისივე — „პერმანსივის („ხოლმეობითის“) ისტორიული აღგელისათვის ქართული ზმნის უღელილების სისტემაში“ («საქ. მეცნ. აკად. მოამბე», ტ. IV, № 1, 1943), რომელშიც დასაბუთებულია ურთიერთკონსტრუქცია უძველესია გარდამავალი ზმნისათვის ქართულში; ის დამატებით

თებელია იმ პერიოდისათვის, როცა ზმნა განარჩევდა ასპექტს და არა დროს: გარჩეული იყო დიურატიული და მომენტობრივი ასპექტი: პირველს გადმოცემდა — პერმანსივი, მეორეს — აორისტი; ვ. თოფურიას — „ორმაგი უარყოფა ქართულში“ («წელიწადი»): განხილულია ორმაგი უარყოფა ქართული ენის ისტორიის მთელ მანძილზე და წარმოდგენილია დებულება, რომ იგი არაა უცხოურ ენათა გავლენით წარმოქმნილი; მისივე — „ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში“ («უნივ. მოამბე», ტ. VI, 1926): ახსნილია ოცეულების მაწარმოებელი ელემენტი მეგრულ-ქანურ და სვანურთან შედარებით; მისივე — „ნე, -ნი, -ნა პრეფიქსებისათვის“ («უნივ. შრომები», ტ. VII, 1938): შედარებითი გზით გამოყოფილია ეს პრეფიქსები ისეთ ფუძეებში, რომელნიც იშვამად დაუშლელად ივარაუდებოდა (ნე-შტი, ნი-კა-ბი) და გარკვეულია სათანადო ფუძეების სემანტიკა; მისივე — „ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის“ («უნივ. შრომები», ტ. III, 1936): წარმოდგენილია დებულება, რომ ფუძედრეკად ზმნებში ბოლო მარცვალ (-ედ, -ებ...) წარმოადგენს აფიქსს, ანალოგიურს ამჟამად მოქმედი თენხს ნიშნებისას და სხვა.

გარდა სპეციალური, ცალკეული საკითხების კვლევა-ძიებისა, ამ პერიოდში გამოიცა მთელი რიგი ძველი ქართულის ძეგლები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიის საკითხების გასარკვევად. ამ რიგისაა ნაშრომები: ივ. ჯავახიშვილისა და ა. შანიძის მიერ გამოცემული ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები (იხ. აქვე, გვ. 58), ს. ჯანაშიას „ცხოვრებაჲ საბა ასურისაჲ“ («არილი», 1925), ა. შანიძის „თარგმანებაჲ ქებათა ქებაჲ“ (თბილ. 1935), არნ. ჩიქობავას „სავარჯიშო ქართ. პალეოგრაფიაში“ (რვ. I. 1930, რვ. II. 1927), კ. ქეკელიძის „ადრინდელი ფეოდალური ქართ. ლიტერატურა: I. იოანე საბანისძე, II. ბასილ ზარზმელი“ (თბილ. 1935), მისივე — „ტიმოთე ანტიოქიელი“ («ენიშკი-ს მოამბე», ტ. VII, 1940), მისივე — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (თბილ. 1941), ს. ყაუხჩიშვილის „ბრონოლოგიური გიორგი მონაზონისაჲ“ (თბილ. 1920), მისივე — „იოანე პეტრიწის შრომები“ (ტ. I. 1940, II. 1937), ილ. აბულაძის, „მარტვილობაჲ შუშანიკისი“ (თბილ. 1938), მისივე — „სიბრძნე ბალაგარისი“ (თბილ. 1937), მისივე — „მარტვილობაჲ თეკლასი“ («ენიშკი-ს მოამბე», ტ. VII, 1941), მისივე — „ელინთა ზღაპრობანი“ («ენიშკი-ს მოამბე», ტ. X, 1941), აკ. შანიძის „ხანმეტი მრავალთავი“ (ფოტოტიპირი რეპროდუქცია, თბ. 1924), მისივე — „ქართული ოთხთავის ორი უძველესი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით“ (თბ. 1945) და სხვანი.

უკანასკნელ წლებში დაიწყო ძველი ქართულის ძეგლების მონოგრაფიული შესწავლა და მათი გამოსაცემად შემზადება: ს. ჩხენკელი, „საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის (978) მეფეთა წიგნებში“ («უნივ. შრომები», 1942), ა. ჯიშიაშვილი, „ქილ-ეტრატის იადგარის მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი“ (საკანდ. დისერტ.), ა. მარტიროსოვი, „ქილ-ეტრატის იადგარის ფონეტიკური თავისებურებანი“ (საკანდ. დისერტ.), ა. კიზირია, „მართვა-შეთანხმების საკითხები ძველ ქართულში ჯრუჭის

ოთხთავის მიხედვით“ (საკანდ. დისერტ.), ივ. იმნაიშვილი, „წრფელობითი ბრუნვის საკითხისათვის ძველ ქართულში“ (საკანდ. დისერტ.) და სხვანი.

საშუალო (გარდამავალი პერიოდის) ქართულის შესწავლის ხაზით ყურადღება ექცეოდა უმთავრესად „ვეფხისტყაოსნის“ ენას, უფრო ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებთან დაკავშირებით. ასეთია გამოკვლევები ა. შანიძისა, ვ. ბერიძისა, იუსტ. აბულაძისა და სხვთა. ვეფხისტყაოსნის ენა სპეციალური თვალსაზრისით განხილულია ნაკვლევებში: არნ. ჩიქობავას „დიალექტიზმების საკითხისათვის ვეფხისტყაოსანში“ (ენიმიკი-ს მოამბე, ტ. III), ივ. გიგინეიშვილის „სიტყვაწარმოება ვეფხისტყაოსანში“ (1944 წ. საკანდ. დისერტ.).

ძველი ქართულის შესწავლის გაცხოველებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ახალი ქართული ენის გრამატიკის საკითხების დამუშავებასაც: ახალი ქართულის მეცნიერული შესწავლა სწორედ ამ პერიოდში იწყება. კვლევის საგანია ცალკეული საკითხები, აგრეთვე გამოცემულია შემაჯამებელი მონოგრაფიებიც. ამგვარ ნაკვლევებთან აღსანიშნავია: ა. შანიძის „ქართული ზმნის საქცევი“ (უნივ. მოამბე, ტ. VI, 1925), რომელშიც დადგენილია ზმნის ახალი კატეგორია—ქცევა, რომელიც გამოხატავს კუთვნილებით მიმართებას ზმნით გამოხატულ მოქმედებასა და სუბიექტ-ობიექტს შორის, გამოყოფილია ქცევის ძირითადი სახეები (შემდგომში უფრო დაზუსტებული) და მოცემულია მათი მორფოლოგიურ-სინტაქსური ანალიზი; მისივე—ი. ჭავჭავაძე, როგორც მეგრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის“ (ი. ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, 1939): გარკვეულია ახალი სალიტერატურო ქართულის შექმნისა და ჩამოყალიბების ძირითადი საკითხები, კერძოდ ი. ჭავჭავაძის ღვაწლი ამ საქმეში; მისივე—ნ. ბარათაშვილი, ენა“ (თბილ. კრებ., 1939): დახასიათებულია ამ გენიალური მწერლის ენის თავისებურება და გათვალისწინებულია მისი აღიღლი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში; გ. ახვლედიანის „მკვეთრი ხშულნი ქართულში“ (თბილ. უნივ. მოამბე, II, 1923): გარკვეულია ბუნება სპეციფიკური ბგერებისა ქართულში (resp. კავკასიურ ენებში); მისივე—სამეცხველო ბგერა და წერა“ (1930): გარკვეულია ბგერისა და წერის ურთიერთობა ფონეტიკის თვალსაზრისით და თოგრაფიის ზოგი საკითხი; მისივე—„ქართული ენის ბგერათა თავისებურებანი“ (ფსიქ. ნერვ. ინსტ. შრომები, თბ. 1936): ქართული ბგერები განხილულია რუსულთან შედარებით, მისივე—„ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები“, I (თბ. 1938, ანოტაცია იხ. ქვემოთ); არნ. ჩიქობავას „თავისებურება ახასიათებს ქართული ენის აგებულებას“ (I, II, III წერ.—თბ. სკოლ., 1929 წ., № 4, № 9, № 11/12, IV, V წერ.—„კულტ. აღმშენა“, 1930 წ., № 5, № 7/8): გარკვეულია ქართული ენის სახელისა და ზმნის მორფოლოგიის თავისებურებანი, აგრეთვე ქართული სინტაქსის სპეციფიკური მოვლენები ქართული ზმნის მრავალპირიანობასთან დაკავშირებით და სხვა.

ამგვარი ცალკეული კვლევა-ძიების შედეგები შეჯამებულია 1930 წ. გამოცემულ ნაშრომში: ა. შანიძე, ქართ. გრამატიკა. I. მორფოლოგია (თბილ. 1930), რომელშიც პირველად არის წარმოდგენილი ახალი ქართული ენის ენა

მატიკული სისტემა მართებულ მეთოდოლოგიურ საფუძველზე აგებული. ნაშრომში დადგენილია და გარკვეული ქართულისათვის დამახასიათებელი კატეგორიები, როგორიცაა, მაგალითად, სახელთა ბრუნების ტიპები, ნაცვალსახელთა თავისებურებანი, ზმნის მრავალპირიანობა, გარდამავლობისა და გვარის ურთიერთობა ქართულში, ვნებითის წარმოება და მისი სახეები (დინამიკური, სტატიკური), გზის, ქცევის და სახის კატეგორია, დრო-კილობა სერიები და მათი წარმოება და სხვადასხვა. ამგვარივე ხასიათისაა ამ ნაშრომის მეორე გამოცემა, უკეთ რომ ეთქვათ, ახალი ნაშრომი: ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძველები. ნაკვ. 1 და 2 (თბილისი 1942-43), რომელშიც არა მარტო განმეორებულია წინა ნაშრომის ძირითადი მომენტები, არამედ ახალი თეორიული ხასიათის დებულებებიცაა წარმოდგენილი (მაგ. მწკრივის, გეზის, აქტის და სხვა კატეგორიათა შესახებ).

აღნიშნულმა ნაშრომებმა უშუალო სამსახური გაუწიეს ჩვენს საშუალო სკოლას. გარდა ამისა სპეციალურად სკოლისათვის დაწერილია პოპულარული ნარკვევები, როგორიცაა: არნ. ჩიქობავას „პირის აღნიშვნა ქართულ ზმნაში“ („განათლ. მუშაკი“, 1926, № 14), მისივე — „რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა თანამიმდევრობის შეცვლა ქართულში“ („ახ. სკოლისაკენ“, 1928, № 3), მისივე — „სახელის ანალიზის პრინციპები ქართულში“ („კომუნ. აღზრდ.“, 1933, № 11/12), მისივე — „ზმნის ანალიზის პრინციპები ქართულში“ („კომუნ. აღზრდ.“, 1934, № 4/5); ვ. თოფჩურიას „ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების დაბოლოებანი“ („ახ. სკოლ.“, 1929, № 7—8), მისივე — „მეტყველების ნაწილებისათვის ქართულში. 1.“ („ახ. სკოლ.“, 1929, № 11—12), მისივე — „რა თანამიმდევრობით უნდა ვასწავლოთ სახელთა ბრუნება სკოლაში“ („კომ. აღზრდ.“, 1935, № 3) და სხვა... მათი მონაცემებისა და აგრეთვე მრავალრიცხოვან ზეპირ ლექცია-მოხსენებათა საფუძველზე დამუშავდა სასკოლო გრამატიკები (ი. ნიკოლაიშვილის „ქართული გრამატიკა“, ი. სიხარულიძის „ენის დაკვირვება“, მისივე — „ქართული ენის გრამატიკა“), ხოლო უკანასკნელ ხანს ა. შანიძემ დაწერა სასკოლო სახელმძღვანელო — „ქართული ენის გრამატიკა“ (1939, 1941).

* *

ქართული ენის შესწავლასთან ერთად ყურადღება მიექცა მონათესავე ენებს — მეგრულ-ჭანურისა და სვანურის — შესწავლასაც. ამ მხრივ აღგილობრივ ენობრივ სპეციალურ ექსპედიციები, რის შედეგადაც არამცთუ გამოკვლეულ იქნა ცალკეული საკითხები, არამედ დამუშავებულია მთლიანი მიმოხილვები, რომელთაც გაგვითვალისწინეს ამ ენათა სტრუქტურა და აგვიხსნეს ბევრი ენობრივ-ისტორიული საკითხი.

ჭანურის (მეგრულ-ჭანურის) ხაზით აღსანიშნავია ა. ჩიქობავას „ქართული მეგრულში“ („ტფ. უნივ. მოამბე“, VI, 1925), მისივე — „ჭანური ტექსტები. 1. ზოგადი კილოკავი“ (1929), ვ. თოფჩურიას „ენჯ სუფიქსი მეგრულში“ („ენიკა-ს მოამბე“, ტ. I, 1937), მისივე — „ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში“ (იქვე, ტ. I, 1937), მ. ხუბუას „მეგრული ტექსტე-

ბი“ (1937); არნ. ჩიქობავას მონოგრაფიები „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“ (1936) და „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, ი. ყიფშიძის „ჭანური ტექსტები“ ა. ჩიქობავას რედაქციით (1941), ს. ჟღენტის „ჭანური ტექსტები“ არნ. ჩიქობავას რედაქციით (1940) და სხვა.

ამ ნაშრომთაგან ცალკე ღნდა გამოვეყოთ ი. ყიფშიძის „ჭანური ტექსტები“ და არნ. ჩიქობავას „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“. პირველ მათგანში გამოცემულია ისეთი კილოების ტექსტები, რომელთა მონაცემებს პრინციპული მნიშვნელობა აქვთ ჭანურის ისტორიის გასათვალისწინებლად, ხოლო მეორეში—მიუხედავად იმისა, რომ ჭანური საკმარისის გულისყურით იყო შესწავლილი წინა მკვლევართა მიერ (ნ. მარი, ი. ყიფშიძე)—მოცემულია ახალი დასაბუთებული სისტემა ჭანური ენის აგებულებისა. აღსანიშნავია ის, რომ ჭანურის მოვლენები ნაშრომში განხილულია მეგრულისა და ქართულის მონაცემებთან შეპირისპირებით, რაც გარკვეულ შემთხვევებში იძლევა ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის ელემენტებს; გარდა ამისა ნაშრომში ახალი თვალსაზრისით გარკვეულია და დადგენილია ბევრი გრამატიკული კატეგორია ქართველურ ენათა წიაღიდან და სხვა.

რაც შეეხება არნ. ჩიქობავას ნაშრომს „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, მის შესახებ იხ. ქვემოთ, გვ. 70).

სვანურის ხაზით პირველ ყოვლისა ღნდა აღინიშნოს ის, რომ ჩაწერილია და გამოცემული ტექსტები ყველა კილოსა და კილოკავზე: ა. შანიძის და ვ. თოფურიას „სვანური პოეზია“. I. (1939) და მათივე — „სვანური პროზაული ტექსტები“ I. (1939). გამოცემას ელის მდიდარი საენათმეცნიერო და ფოლკლორული ტექსტები ქართველურ ენათა განყოფ. მიერ შეკრებილი (ა. ონიანი, ა. დავითიანი და სხვ.). გამოკვლეულია ამ ენის ურთულესი მოვლენები მორფოლოგიაში და გათვალისწინებულია სვანურის მიმართება მონათესავე ენებთან; ამ ხასიათის ნაშრომებია: ა. შანიძის „უმლაუტი სვანურში“ (არილი, 1925), ვ. თოფურიას ვრცელი მონოგრაფია „სვანური ენა. I. ზმნა“ (1931), მისივე — „სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში“ (უნივ. მოამბე, ტ. VII, 1927), მისივე — „კვლავ უმლაუტისათვის სვანურში“ (უნივ. მოამბე, ტ. VIII, 1928), მისივე — „რ და ნ თანხმოვანთა მონაცვლეობისათვის სვანურ ზმნებში“ (უნივ. შრომები, ტ. XVIII, 1941), არნ. ჩიქობავას „სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნების ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში“ (უნივ. შრომები, ტ. XVIII, 1941), კ. დონდუას „Категория инклюзива-эксклюзива в сванском и ее следы в древне-грузинском“ (Памяти Н. Я. Марра, 1938), მისივე — „К вопросу об особой форме множ. числа в сванских терминах родства“ (მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, VII, 1937), თ. შარაძენიძის „უარყოფითი ნაწილაკები სვანურში“, „მრავლობითი რიცხვის წარმოება სვანურში“ (1944) და სხვა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სვანური ენის შესწავლაში ვ. თოფურიას მონოგრაფია — „სვანური ენა. I. ზმნა. ტფილისი 1931“. ნაშრომი წარმოადგენს

სვანურ ენის სპეციალური კვლევა-ძიების ნაყოფს და იგი არაჩვეულებრივად მდიდარია შინაარსით. მასში სისტემატურად გადმოცემულია სვანური ზვნიის მორფოლოგია სვანურის ოთხივე კილოს მონაცემების გათვალისწინებით. ცალკეული მოვლენები განხილულია ისტორიული და შედარებითი თვალსაზრისით, კერძოდ ქართულ ენასთან მიმართების თვალსაზრისით. გარდა აღწერითისა, ნაშრომში ფართოდაა წარმოდგენილი ახსნითი მომენტებიც, კერძოდ ცალკეულ გრამატიკულ კატეგორიათა და მათ ფორმანტთა გენეზისის საკითხები (მაგალ-პირის, დროთა და სხვათა შესახებ). ნაშრომი წარმოადგენს საფუძველს ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის დამუშავების საქმეში. ამავდროულად იმავე ავტორის მიერ დამუშავებული „სვანური ენა: სახელის მორფოლოგია“ (1941, ხელნაწ.) და „სვანური სინტაქსი“ (1942, ხელნაწ.).

* *

ცალკეულ ქართველურ ენათა სპეციალურ კვლევასთან ერთად და მასზე დაყრდნობით ან პერიოდში იწყება და წარმატებით ვითარდება ამ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიება, მუშავდება ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის ცალკეული საკითხები. ყურადღების ცენტრშია ძირითადი ენობრივი (ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და სხვა) მოვლენები, რომელთა განხილვაც ხდება—ერთი მხრივ—ყველა ქართველური ენის მასალაზე, მეორე მხრივ—გათვალისწინებულია ამ მოვლენათა ისტორია, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლევა წყაროები. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ფონეტიკიდან პირველად ჩვენს ყურადღებას იპყრობს ხმოვანთა რედუქციის ბუნების გამორკვევა (ა. შანიძის „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“: „წელიწადეული“, 1924; ვ. თოფურიას „რედუქციისათვის ქართველურ ენებში“, 1941) და უმლაუტის კანონის დადგენა სვანური მასალების მიხედვით, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საერთოდ ქართველური ენებისათვისაც (ა. შანიძის „უმლაუტი სვანურში“: „არილი“, 1925, ვ. თოფურიას „კვლავ უმლაუტისათვის სვანურში“: „ტფ. უნივ. მოამბე“, VIII, 1928). ხმოვანთა რედუქციისა და უმლაუტის მოვლენათა ახსნის საფუძველზე შესაძლებელი გახდა გარკვევა რთულ მორფოლოგიურ ფორმებში, განსაკუთრებით სვანურისათვის, ა. ჩიქობავას „გრძელი ხმოვნები მთიულურში“ („ტფ. უნივ. მოამბე“, IV, 1924) არკვევს ამ კილოში შენიშნული გრძელი ხმოვნების ბუნებას მახვილის საკითხთან დაკავშირებით. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ვ. თოფურიას „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“ (1 წერ. „მომომხილველი I, 1926, 2 წერ. „ტფ. უნივ. მოამბე“, X, 1929, 3 წერ. „საქ. არქივი“, II, 1927, 4 წერ. „ენიშკი-ს მოამბე“, ტ. I, 1937), რომელნიც არკვევენ მთელ რიგ ფონეტიკურ პროცესებს ქართვ. ენებში და მათ ბუნებრივ კომპლექსებს. ლაბიალიზებული თანხმოვნების ვითარებას არკვევს ს. ჟღენტის წერილში „ლაბიალიზებულ თანხმოვანთა საკითხისათვის ქართველურ ენებში“ („ენიშკი-ს მოამბე“, ტ. X, 1939) და სხვანი.

ქართველურ და კავკასიურ ენათა ფონეტიკის შესწავლის შედეგები შეჯამებულია გ. აბულედიანისა და ს. ჟღენტის „ფონეტიკური ლიტერატურის

მთლიან ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის": «ენიმიკი-ს მოამბე», ტ. I, 1937, მისივე — „მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში“; «უნივ. შრომები», ტ. X, 1939, (ა. შანიძის „ქართ. გრამატ. საფუძვლები“. ნაკვ. 1 და 2, 1942—43“, გ. თოფურიას „ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ქანურში“: «ენიმიკი-ს მოამბე», ტ. I) და სხვა.

შედარებით ნაკლებადაა დამუშავებული სინტაქსის საკითხები, თუმცა ამ დარგშიაც გვაქვს საყურადღებო ნაშრომები. პირველ რიგში აღსანიშნავია არნ. ჩიქობავას მონოგრაფია: „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“. I. 1928, შემდეგ: ვ. თოფურიას „სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით“ («ჩვ. მეცნ.», 1923, № 1), მისივე — „ორმაგი უარყოფა ქართულში“ («წელიწადეული»), არნ. ჩიქობავას „მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები“ («საქართვე. მეცნ. აკადემიის მოამბე», ტ. II, 1941, № 1—2), ანტ. კიზირიას „თანდებულიანი ნანათესაობითარ მსაზღვრელი ქართულში“ (იბეჭდ.) და სხვა...

განსაკუთრებით აღსანიშნავია ეტიმოლოგიური ძიებანი, რომელთა თვალსაზრისით საყურადღებოა ნაშრომები: ვ. თოფურიას „-ნე, -ნი, -ნა, პრეფიქსებისათვის“ («უნივ. შრომები», ტ. VI), მისივე — „-ედ, -ურ, -რ აფიქსებისათვის“ («ენიმიკი-ს მოამბე», V-VI), ა. შანიძის „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“ («წელიწადეული»), არნ. ჩიქობავას „ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ (1938), მისივე — „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (1942), ივ. ჯავახიშვილის „ქართული და კავკას. ენების თავდაპირვ. ბუნება და ნათესაობა“. აგრეთვე მისივე ისტორიული ნაშრომები პალეოგრაფიისა, ნუმისმატიკისა, სამართლის ისტორიისა და სხვა საკითხებს შესახებ (იხ. აქვე, გვ. 70).

* *

II. ქართული დიალექტოლოგია. ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ენიჭება ქართული და სხვა ქართველური ენების ცოცხალი კილოების შესწავლას. ქართული ენის ზოგი ძველი მკვლევარი არამცთუ იკვლევდა ცოცხალ კილოებს, არამედ მათ მიიჩნევდა წამხდარ, დაქვეითებულ ენობრივ ერთეულებად. მხოლოდ აკად. ნ. მარშა მიაქცია სათანადო ყურადღება ცოცხალი კილოების კვლევას და მან პირველმა შეისწავლა ერთ-ერთი ასეთი კილო — (იმერხელის: «Тексты и Разыскания». т. VII, СПб. 1911).

მის შემდეგ პრინციპული მნიშვნელობის გამოკვლევა ეკუთვნის ა. შანიძის „ქართული კილოები მთაში“ («კრებული» ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, ტფილისი, 1915), ხოლო დიალექტოლოგიური ლექსიკოლოგიის დარგში ვ. ბერიძეს: „სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“. პტბ. 1912.

თბილისის უნივერსიტეტის წიაღში ახალი ენათმეცნიერული მუშაობის გაშლის შემდეგ სწორად იქნა შეფასებული დიალექტების მნიშვნელობა ენის ისტორიისა და საერთოდ ენობრივი კანონზომიერების გათვალისწინების თვალსაზრისით. იმთავითვე დაიწყო ცალკეული დიალექტების შესწავლა. დღეს თითქმის ყველა ძირითადი კილო ქართული ენისა გამოკვლეულია. სახელ-

დობრ, შესწავლილია (და გამოკვლეული): ფერეიდნული (ა. ჩიქობავას „ვინის რეტლექსები ფერეიდნულში“, ჩვენი მეცნიერება, № 5, 1923; მისივე — „ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით“, წელიწდეული, 1925; მისივე — „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი“. — ტფ. უნივ. მოამბე, VII, 1927), ინგილოური (სტ. მენთეშაშვილის — „პაემეტობა ინგილოურში“: საქ. მუზ. მოამბე, ტ. X B, 1940), გარეკახური (ა. ჩიქობავას „გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად“, არილი, 1925), ქართლური (ვ. თოფურიას „ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში“: ჩვენი მეცნიერება, № 2, 1924; მისივე — „ქართლური“, არილი: 1925), გურული (ს. ქლენტის „გურული კილო“, 1936; ქ. ლომთათიძის „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში“: ტფ. უნივ. შრომები, VI, 1937), აჭარული (ჯ. ნოლაიძის „აჭარული კილოს თავისებურებანი“, 1940; მ. ხუბუას „ზემო აჭარის ენობრივი მიმოხილვა“, 1932), მესხური (შ. ძიძიგურის „მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი სხვა კილოებთან მიმართების თვალსაზრისით“: ენიმკი-ს მოამბე, ტ. X, 1941), მთარაჭული (შ. ძიძიგურის „ქართული ენის მთარაჭული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი“, ენიმკი-ს მოამბე, ტ. I, 1938), იმერული (ვლ. ფანჩვიძის „ქართული ენის იმერული კილო“. საკანდ. დისერტ. 1936; შ. ძიძიგურის „ქვემოიმერული კილოკავის დახასიათებისათვის“, Памяти акад. Н. Я. Марра, 1940), მთიულური (არნ. ჩიქობავას „მთიულურის თავისებურებანი“, ენიმკი-ს მოამბე, ტ. II, 1938; მისივე — „გრძელი ხმოვნები მთიულურში“, უნივ. მოამბე, ტ. III, 1924), ყიზლარ-მოზდოკური (სტ. ჩხენკელის „ყიზლარ-მოზდოკური ქართული“: უნივ. შრომები, ტ. V, 1936), ლეჩხუმური (მ. ალავიძის „ლეჩხუმურის თავისებურებანი“: ქუთ. პედიანტ. შრომები, II, 1940), მოხეური (კ. გუგუშვილის „მოხეური კილო“, 1938) და სხვა.

ამას გარდა შეკრებილია ტექსტები და მასალები: ხევსურული სათვით (ბ. გაბუური, ხევსურული მასალები ა. შანიძის რედაქციით — მისივე ლექსიკონითურთ, წელიწდეული), ინგილოურისათვის (გრ. იმნაიშვილი, სტ. მენთეშაშვილი), მესხურისათვის (კ. დონდუა, შ. ძიძიგური), ლეჩხუმურისათვის (პ. ხუბუტი, შ. ძიძიგური), რაჭულისათვის (შ. ძიძიგური), ფშაურისათვის (ივ. გიგინეიშვილი), ქართლურისა და კახურისათვის (ენიმკი-ს ქართველურ ენათა განყოფ. ექსპედიციების ნაშრომები, 1937—40 წწ.) და სხვა.

შედგენილია აგრეთვე და გამოცემული ანდა გადაცემულია გამოცემად დარჩენილი ალექტოლოგიური ლექსიკონები: გურულისა, ზემოიმერულისა, ლეჩხუმურისა, ქართლურისა, აჭარულისა და სხვა (იხ. აქვე, გვ. 68).

ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხებს ეხება არნ. ჩიქობავას „ალექტიზმების საკითხისათვის ვეფხისტყაოსანში“ (ენიმკი-ს მოამბე, ტ. III, 1938; ვ. თოფურიას „ორმაგი უარყოფა ქართულში“ (წელიწდეული, 1—1938); თ. გონიკაშვილის „დიალექტიზმებისათვის პადიშის ოთხთავი“ (ენიმკი-ს მოამბე, ტ. IV), აგრეთვე ი. ჯავახიშვილის, ა. შანიძის, ა. ნო-

ქოზაგას და სხვათა გამოკვლევები ხანშეთი და ჭაემეთი ტექსტების ენის შესახებ (იბ. აქვე, გვ. 58).

* *

III. ლექსიკოლოგიური მუშაობა. თვალსაჩინო საქმეა გაკეთებული ლექსიკოლოგიის დარგშიც. მართალია, ოქტომბრის წინაღობინდელი ქართული სალექსიკოლოგიო მუშაობის შედეგად არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი ლექსიკონი მოგვეპოვება: დ. ჩუბინაშვილისა, რ. ერისთავისა, ნ. მარისა, ი. ყიფშიძისა, ვ. ბერიძისა, ი. ჭყონაასი და სხვათა, მაგრამ, ჯერ ერთი, უმეტესობა ამ ლექსიკონებისა შესრულებულია საქართველოს გარეთ, რუსეთში, და, მეორეც, სისტემატური სალექსიკოლოგიო მუშაობა მაშინ არ წარმოებულა.

ქართველურ ენათა ფარგლებში გეგმაშეწონილი სალექსიკოლოგიო მუშაობა დაიწყო 1923 წ., როდესაც ტფილისის სახ. უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრა, აკ. შანიძის ხელმძღვანელობით, შეუდგა ქართული განმარტებითი ლექსიკონისათვის მასალების შეკრებას. პირველ რიგში დამუშავდა მე-19 საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობის ძეგლები. გარდა ამისა, ხალხურ მეტყველებას რომ თავისი კუთვნილი ადგილი ეპოვა ლექსიკონში, ყურადღება მიექცა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სალექსიკონო მასალების შეკრებასაც. ამ საქმიანობას ხელმძღვანელობდნენ ქართული ენის კათედრა, სატერმინოლოგიო კომიტეტი და ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება. საგანგებოდ შედგენილი ანკეტა-ინსტრუქცია (გ. აბულელიანი, ვ. ბერიძე) დაგზავნილი იქნა ადგილებზე. საენათმეცნიერო საზოგადოების წევრი-კორესპონდენტები დროდადრო გზავნიდნენ მასალებს ხსენებული ანკეტა-ინსტრუქციის მიხედვით.

ქართული ლექსიკოლოგიური ნაშრომების პუბლიკაცია ამ ხნის განმავლობაში ძირითადად ოთხი მიმართულებით წარიმართა. ესენია: ა) ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკონები, ბ) ქართველ კლასიკოსთა აკადემიური გამოცემებისათვის დართული ლექსიკონები, გ) თარგმნითი და დ) უცხო სიტყვათა ლექსიკონები.

I. დიალექტოლოგიურ ლექსიკონთაგან აღსანიშნავია: 1. ფშაურისა—ა. შანიძის ფშაური ლექსიკონი ვაჟა-ფშაველას მიხედვით (დართული აქვს პოეტის თხზულებათა გამოცემას), 2. ხევსურულისა—მისივე: ხევსურული ლექსიკონი (დართული აქვს ბ. გაბუურის მასალებს: «წელიწადეული», I—II, 1924), 3. ფერედნულისა—ა. ჩიქობავას ფერედნული ტექსტების ლექსიკონი: «ტფ. უნავ. მოამბე», VI (1927), 4. გურულისა—ე. ნინოშვილის «პარტახის» (1935) ლექსიკონი ქ. ლომთათიძისა; შარაშიძე, გურული ლექსიკონი (1936 წ.), 5. ლეჩხუმურისა—მ. ალავეძე, ლეჩხუმური ლექსიკონი (თბილისი, 1939), 6. ზემოიმერულისა—ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი (თბილისი 1939), 7. ქართლურისა—ნ. კეცხოველი, შ. ძიძიგური და პ. ხუბუტია, ქართლური ლექსიკონი (1940, იბეჭდება), 8. ქიზიყურისა—სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი (1943), 9. აჭარულისა—ჯ. ნოღაიდელი, აჭარული ლექსიკონი (ხელნაწ.), 10. თუშურისა—პ. ხუბუტია, თუშური ლექსი-

კონი (1940, ხელნაწ.), 11. რაჭულისა—3. დაუშვილი, რაჭული ლექსიკონი (1941 ხელნაწ.), მიხ. ჩიქოვანი, ლეჩხუმური ლექსიკონი (1941 წ. და სხვა.

II. ქართველ კლასიკოსთა გამოცემების ხაზით: 1. ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი—იუსტ. აბულაძისა, ს. კაკაბაძისა, კ. კიკინაძისა (1926—1935), 2. შაჰნამეს ლექსიკონი—იუსტ. აბულაძისა (1934), 3. დავითიანისა და შაჰნავაზიანის ლექსიკონი—ს. იორდანიშვილისა, 4. საიათნოვას და „ტფ. ლიტ. ბოჭემის“ ლექსიკონი—ი. გრიშაშვილისა, 5. ბესიკის ლექსიკონი—ვ. თოფურიასი (1932), 6. იოსებ ზილიზანიანის, ბიასი (1927—1934), 7. არჩილიანის ლექსიკონი—ნ. ბერძენიშვილისა, 8. ძვ. ქართული ენისა და ლიტერატურის ქრესტომათიის ლექსიკონი—ილ. აბულაძისა (1935), 9. წიგნი სააქიმოვს და უსწორო კარაბაძის ლექსიკონები—იუსტ. აბულაძისა და ლ. კოტეტიშვილისა (1936), 10. ირანულიდან ნათარგმნი ასტრონომიული ძეგლის ლექსიკონი—ი. მარისა და კ. დონდუასი (1926), 11. საიათნოვას ლექსიკონი—ლ. მელიქსეთ-ბეგისა (1935), 12. ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი—ა. შანიძის რედაქციით (1937), 13. ვეფხისტყაოსნის ყარაბაღული ვარიანტის ლექსიკონი—ლ. მელიქსეთ-ბეგისა (1936), 14. კ. კეკელიძის მიერ გამოცემული ძვ. ქართ. ძეგლების ლექსიკონები, ასევე ილია აბულაძის მიერ გამოქვეყნ. ძვ. ქართ. ტექსტების ლექსიკონები (იხ. აქვე, გვ. 60) და სხვა.

დიდძალი სალექსიკონო მასალაა შესული ივ. ჯავახიშვილის ისეთ ნაშრომებში, როგორცაა: „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ (თბ. 1926), „ქართული სამართლის ისტორია“—წ. I, წ. II, ნაკვ. 1 და 2 (თბ. 1928—1929), „ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“ (თბ. 1926), „საქ. ეკონ. ისტორია“, I და II ტომი (1930—1934 წ.) და სხვა.

III. თარგმნით ლექსიკონთაგან აღსანიშნავია: 1. იუსტ. აბულაძის რუსულ-ქართული ლექსიკონი, I ნაწ. (1926), 2. გ. ახვლედიანისა და ს. იორდანიშვილის რუსულ-ქართ. ლექსიკონი, I და II (1931 და 1935 წ.), 3. დიდი რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტფილ. უნივერსიტეტის გამოცემა (1937), 4. ვ. თოფურიას და ს. ყაუხჩიშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი (2 გამოც. 1941), 5. გ. ახვლედიანისა და ვ. თოფურიას ქართულ-რუსული ლექსიკონი (1941), 6. ს. ყაუხჩიშვილის ლათინურ-ქართული ლექსიკონი (1940), 7. ი. გვარჯალაძის ინგლისურ-ქართული ლექსიკონი (1939). მისთვის და ი. მაჭავარიანის ფრანგულ-ქართული ლექსიკონი და სხვ.

IV. 1. უცხო სიტყვათა ლექსიკონი გ. ახვლედიანისა (1931). 2. (მისთვის და სხვა პირთა) რედაქციით გამოსული უცხო სიტყვათა ლექსიკონი ი. აბულაშვილისა (1928) და სხვა.

ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში 1936 წლის მაისში ჩამოყალიბებულია სალექსიკონო-მეცნიერ. ლეზბა, რომელიც ამჟამად შედის ენის ინსტიტუტის შედგენილობაში და რომელიც წარმოადგენს ცენტრს სალექსიკონო-მეცნიერ. საქმიანობისათვის. იგი მუშაობდა, რათა, ერთი მხრით, შეეყრებოდა მასალა ქართული ენის

ლისი 1928, 4. საანგარიშო მეცნიერებათა ტერმინოლოგია, თბილისი 1928, 5. ნორმალური ანატომიის ტერმინოლოგია, თბილისი 1930, 6. ბიბლიოთეკონომიის, ბიბლიოგრაფიისა და პოლიგრაფიული წარმოების ტერმინოლოგია, თბილისი 1932, 7. ტექნიკური ტერმინოლოგია, თბილისი 1935, 8. ვლ. კუჭაიძე კლინიკური სამედიცინო-გინეკოლოგიური ტერმინოლოგია, თბილისი 1934, 9. სოციალ-ეკონომიური ტერმინოლოგიის მასალები, თბილისი 1936.

გარდა ამისა გამოცემულია: 1. სააღმშენებლო ლექსიკონი, თბილისი 1926, 2. ლექსიკონი—სამხედრო-ტექნიკური, თბილისი 1925, 3. რუსულ-ქართული საგზაო ტექნიკური ლექსიკონი, თბილისი 1925 და სხვა.

ამ სატერმინოლოგიო მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი ენათმეცნიერები: ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ს. ჯანაშია, ა. ჩიქობავა, ს. ყაუხჩიშვილი, ვ. თოფურია, ხოლო საერთო ხელმძღვანელობა და რედაქტორობა წილად ხვდა ვ. ბერიძეს.

1936 წ. შემოდგომიდან სატერმინოლოგიო საქმე გადმოეცა ენიმკი-ს, შემდგომ ენის ინსტიტუტის სატერმინოლოგიო განყოფილებას (გამგე ვ. ბერიძე). ამ ხნის განმავლობაში განყოფილებამ ჩატარა შემდეგი სამუშაოები: ღამზადა და გამოსცა: 1. სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია. I. მემცენარეობა. შედგენილი ალ. მაყაშვილის მიერ, თბილისი 1938, 2. სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია. II. ენტომოლოგია. შედგენილი ლ. კალანდაძისა და ვ. ბაქრაძის მიერ, თბილისი 1938, 3. გეოლოგიური ტერმინოლოგია. შეადგინეს გ. ლომთათიძემ, მ. ფოფხაძემ და კ. ჯავრიშვილმა, თბილისი 1941, 4. მასალები გეოგრაფიის ტერმინოლოგიისათვის, შედგენილი ა. კაპანაძის მიერ, თბილისი 1941, 5. ტექნიკური ტერმინოლოგია სახელოსნო სასწავლებელთათვის, შედგენილი ვ. ოშიაძის მიერ, თბილისი 1942, 6. მათემატიკის ტერმინოლოგია, თბილისი 1944 (ძეორე გამოცემა), 7. საავიაციო ტერმინოლოგია, თბილისი 1945, 8. სოციალ-ეკონომიური ტერმინოლოგია.

გარდა ამისა დამზადებულია გამოსაცემად: 1. მემცენარეობისა და სოფლის მეურნეობის მავნებლების ტერმინოლოგია, 2. ფინანსებისა და კრედიტის ტერმინოლოგია, 3. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტერმინოლოგია, 4. ხეროთმოდგერების ტერმინოლოგია, 5. ფიტოპათოლოგია-მიკოლოგიის ტერმინოლოგია, 6. სპორტის ტერმინოლოგია, 7. ქართული ქორეოგრაფიის ტერმინოლოგია, 8. რადიო-ტექნიკის ტერმინოლოგია, 9. ფიზიოლოგიის ტერმინოლოგია, 10. ზოოლოგიის ტერმინოლოგია, 11. სამხედრო ტერმინოლოგია, 12. აღრიცხვის ტერმინოლოგია (იბეჭდ.), 13. მედიცინის ტერმინოლოგია (იბეჭდ.) და სხვა.

სამეცნიერო ტერმინოლოგიის დარგში ჩატარებულია ნაყოფიერი მუშაობა: მეცნიერების თითქმის ყველა დარგისათვის დამუშავებულია და დადგენილი სათანადო ტერმინოლოგია. ქართველ მეცნიერს, ქართველ სტუდენტს, ქართველ მასწავლებელს, მოწაფეს, პრესის მუშაკს და ყველას საშუალება აქვს ქართული ტერმინოლოგიის სათანადო მეცნიერების ცნებები. ასეთ მოკლე ხანში სამეც-

ნიერო ტერმინოლოგიის დადგენის საქმის მოგვარება ფრიად მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს ქართული ენათმეცნიერებისათვის.

* *

V. მთის კავკასიურ ენათა სტრუქტურის შესწავლა. თუ ქართველურ ენათა შესახებ ჩვენ გვქონდა ასე თუ ისე სათანადო გამოკვლევები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, კავკასიურ ენათა შესწავლის ჩასახვა და სათანადო სიმალლეზე აყვანა ჩვენში მთლიანად საბჭოთა პერიოდის საქმეა. ჯერ კიდევ 1925 წელს „საენათმეცნიერო საზოგადოების“ კრებულში «წელიწდეულში» ხაზგასმული იყო კავკასიურ ენათა შესწავლის საჭიროება, მოცემულია ამ შესწავლის მიზნები და ამოცანები. გათვალისწინებული იყო აგრეთვე ის სიძნელეები, რაც ამ ენების შესწავლას მაშინ თან ახლდა. სხვათა შორის, სარედაქციო წერილში («წელიწდეული», გვ. 11) ნათქვამია:

„2. კავკასიურ ენათა შესწავლას ორმაგი ინტერესი აქვს. ჯერ თავისთავადი, თვით ამ ენათა ბუნებისა და მათი ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით და მეორეც, ზოგადად, ენათმეცნიერების თვალსაზრისით: ენობრივი აზროვნების ვარიაციები ძნელად თუ არის სადმე ასეთი მრავალფეროვნებით გადაშლილი, ხოლო ამ ენათა ბგერითი მხარე ისეთი სიმდიდრითა და სირთულითაა აქ წარმოდგენილი, თითქოს ადამიანის სამეცნიერო ორგანოთა საარტიკულაციო შესაძლებლობათა ამოწურვას ცდილანო.

მაგრამ უდიდესი სიძნელეც ახლავს თან ამ ენების შესწავლას. ქართულს გარდა არც ერთს საკუთრივ კავკასიურ ენას ისტორია, დამწერლობის ძეგლებში მოცემული, არ მოეპოვება. ამ თანდაყოლილ „ცოდვას“ ვერავითარი „მადლი“ ვერ გამოიხსიდის: ამ დანაკლისის მთლიანად ანაზღაურება შეუძლებელია: ამ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლაც სპეციალურ ჩარჩოებშია ამიტომაც გამომწყვდეული და პერსპექტივებიც საკმაოდ შემოფარგლული. ასეთ პირობებში არსებული შესაძლებლობის ამოწურვისათვის ერთად-ერთი საშუალებაა: ენის ისტორიის ტვირთი „ენის გეოგრაფიას“ ზნდა დააწვეს“...

ამგვარივე მეთოდოლოგიური მითითებები მოცემულია აგრეთვე წერილში „ზოგადი თვალსაზრისისათვის“ (იქვე, გვ. 16—18). მუშაობის წარმოება იმთავითვე ვერ მოხერხდა ისეთი მასშტაბით და ისეთი ინტენსივობით, როგორც ამას მოითხოვდა ქართველური ენათმეცნიერების განვითარებისა და შემდგომ თვით კავკასიური ენათმეცნიერების წინსვლის ინტერესები. მთელი წლების განმავლობაში თბილისის უნივერსიტეტში წარმოდგენილი იყო მხოლოდ აფხაზურა ენა (დ. გულია, შემდეგ ს. ჯანაშია¹). მხოლოდ 1933 წლის თებერვლიდან უნივერსიტეტში ყალიბდება მთის კავკასიურ ენათა კათედრა (გამგე არნ. ჩიქობავა), ხოლო 1936 წლიდან ენიმკი-ში და შემდეგ ენის ინსტიტუტში — კავკასიურ ენათა განყოფილება (გამგე არნ. ჩიქობავა).

1. ამჟამად უნივერსიტეტში ფილოლოგიური ფაკულტ. სპეციალური კავკასიური ენათა განყოფილების გეგმა ითვალისწინებს საუნივერსიტეტო კურსებს: აფხაზურ ენაში, ბუზუბურ ენაში, ქურში, ჩაჩურში, ბაცბიურში, უდურში, ლეზგიურში, აგრეთვე ზოგად ენის — „ენათმეცნიერების“ კავკასიურ ენათა შესწავლაში“.

ამ დროიდან იწყება გეგმაშეწონილი და ინტენსიური კვლევა-ძიება მთის კავკასიურ ენათა, მზადდება სათანადო კადრები და ქვეყნდება მთელი რიგი ნაშრომები. ამჟამად კვლევა-ძიების ობიექტად შემდეგი ენებია: 1. აფხაზური, 2. ხუნძური (აგარიული), 3. ადიღური (ჩერქეზული): ქვემოადიღური და ყაბარდოული, 4. ჩაჩურ-ინგუშური, 5. ბაცბიური (წოვა-თუშური), 6. დარგუული, 7. ლაკური, 8. უდური, 9. ბუდუხური, 10. ანდიური, 11. კაპუჭური, 12. ლეზგიური (კიურული).

ამ ხნის განმავლობაში დამუშავებულია 90-მდე თემა და გამოქვეყნებულია რამდენიმე ათეული სამეცნიერო გამოკვლევა¹.

კვლევა-ძიების ძირითად პრობლემად დასახულია „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა“, რომელიც „კავკასიურ ენათა ბრუნებისა და უღვლილების საკვანძო საკითხებს მოიცავს—და კავკასიურ ენათა აგებულების ისტორიის ცენტრალურ პრობლემადაა მიჩნეული (მასთან ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც აქტუალური მნიშვნელობისა)“. ამ პრობლემასთან დაკავშირებით გამოკვლეულია ცალკეული მნიშვნელოვანი საკითხები.

А. ზმნის გარდამავლობის პრობლემა და ერგატივის ბუნება და ფუნქცია კავკასიურ ენებში გარკვეულია ნარკვევებში: „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები“ (1939 წ. არნ. ჩიქობავა), „პოლიპერსონალიზმის საკითხი ხუნძურში ერგატიული კონსტრუქციის პრობლემასთან დაკავშირებით“ (1937 წ. არნ. ჩიქობავა), „ერგატიული ბრუნვა და მისი წარმოქმნის ისტორია ხუნძურ ენაში“ (1941 წ. არნ. ჩიქობავა), „გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში“ (1939 წ. ქ. ლომთათიძე), „საუბრით ნაცვალსახელის შემცველი ზმნის ფორმები აფხაზურში“ (1940 წ. ქ. ლომთათიძე), „პოლიპერსონალიზმი ქვემოადიღური ენის ზმნაში“ (1938 წ. გ. როგავა), „კაუზატივის წარმოება ადიღურ ენებში“ (1940 წ. გ. როგავა), „ზმნის აღნაგობა ლაკურ ენაში“ (1935 წ. ვ. თოფურიძე), „კაუზატივის გენეზისისათვის უდურ ენაში“ (1938 წ. ვლ. ფანჩიძე), „მიცემით-სუბიექტიანი ზმნები უდურ ენაში“ (1938 წ. ვლ. ფანჩიძე), „ერგატივის წარმოება და ფუნქცია ლეზგიურ ენაში“ (1944 წ. ვლ. ფანჩიძე), „ერგატივის წარმოება და ფუნქცია უდურ ენაში“ (1943 წ. ევგ. ჯეირანაშვილი) და სხვ. კონკრეტული ენობრივი მასალის ანალიზით დადგენილია მნიშვნელოვანი დებულებები, როგორცაა, მაგალითად, გარდამავალი ზმნის ნეიტრალური ბუნება საერთოდ კავკასიურ ენებში და გამოვლენილია ერგატიული კონსტრუქციის ლაბილური და სტაბილური ვარიანტები ხუნძურ ენაში (არნ. ჩიქობავა), აფხაზურში (ქ. ლომთათიძე). დადასტურებულია პოლიპერსონალიზმი მთის კავკასიური ენებისათვისაც (არნ. ჩიქობავა, გ. როგავა, ვ. თოფურიძე), დასაბუთებულია კაუზატივის არარსებობა კავკა-

1. იხ. „სია იმ ნაშრომებისა, რომლებიც შესრულებულია მთის კავკასიურ ენათა განყოფილებაში (ენის ინსტიტუტში 1936—1942 წლებში) და კავკასიურ ენათა კათედრაზე (უნივერსიტეტში 1933—1942 წლებში)“ (ენიმიკი-ს მოამბე, ტ. XII, 1942, გვ. 289—301). შემდგომში ნაშრომების განაწილებისას არ ვიძლევიტ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს, რადგანაც მსჯერველს უფლება ექნება იხილოს ნაშრომები მოძებნოს ამ „სიაში“.

ურ ენებში (არნ. ჩიქობავა, ვლ. ფანჩვიძე) და სხვა. დამტკიცებულია, რომ ერგატიული კონსტრუქცია არაა პასიური (ზმნაც არაა პასიური ბუნებისა) და ერგატიული ბრუნვა არის პირდაპირი და არა ირიბი ბრუნვა: იგი პირველი სახელობითი ბრუნვაა (არნ. ჩიქობავა).

B. გრამატიკული კლასკატეგორიის პრობლემა კავკასიურ ენებში განხილულია ნაშრომებში: „გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში“ (1936 წ. არნ. ჩიქობავა), „მეორე გრამატიკული კლასის („მდედრობითი სქესის“) გენეზისისათვის მთის კავკასიურ ენებში“ (1941 წ. არნ. ჩიქობავა), „გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები ლაქურ ენაში“ (1936 წ. ვ. თოფურია), „გრამატიკული კლასები ბუღუზურ ენაში“ (1940 წ. ვლ. ფანჩვიძე). დადგენილია, რომ კავკასიური ენებისათვის ისტორიულად დამახასიათებელია ოთხი გრამატიკული კლასი და პირველადია დაყოფა: ადამიანთა და ნივთთა კლასებად (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ვლ. ფანჩვიძე), გაანალიზებულია აგრეთვე ცალკე გრამატიკული კლასების ფორმანტები ცალკეულ ენებში (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ვლ. ფანჩვიძე) და გარკვეულია, რომ მეორე კლასი („მდედრობითი“ კლასი) ახალი წარმოშობისაა (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია) და სხვა.

C. დრო-კილოთა წარმოების საკითხი კავკასიურ ენებში გარკვეულია ნაშრომებში „ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში“ (1936 წ. ქ. ლომთათიძე), „დრო-კილოთა წარმოება უდურ ენაში“ (1939 წ. ვლ. ფანჩვიძე). დადგენილია აფხაზურში ფინიტიური და ინფინიტიური ფორმები, გაანალიზებულია დროთა საწარმოებლები, პირისა და სხვა კატეგორიების მორფოლოგიური ელემენტები (ქ. ლომთათიძე), დადგენილია უდურში დრო-კილოთა სერიალური წარმოება სათანადო ფუძეების გამოყენებით და დადგენილია მართებული დროის საწარმოებლები (ვლ. ფანჩვიძე) და სხვა.

D. ინფინიტივის პრობლემას კავკასიურ ენაში შეეხება ნაშრომები: „ინფინიტივის დიალექტური ვარიაციები ხუნძურში“ (1936 წ. არნ. ჩიქობავა), „ნიცმითისა და ინფინიტივის მაწარმოებელთა გენეზისისათვის დარგულში“ (1941 წ. შ. გაფრინდაშვილი), „ინფინიტივის წარმოება და მნიშვნელობა უდურ ენაში“ (1939 წ. ვლ. ფანჩვიძე), „ინფინიტივის წარმოება და ფუნქცია ბუღუზურ ენაში“ (1942 წ. ვლ. ფანჩვიძე). დადგენილია ინფინიტივის ფორმანტთა დიალექტური ვარიანტები ხუნძურში და გარკვეულია მათი ისტორიულად წარმოშობის სახე (არნ. ჩიქობავა), დასმულია საკითხი ინფინიტივისა და ნიცმითის ფორმანტთა გენეტური ურთიერთობის შესახებ, კერძოდ დარგულში (შ. გაფრინდაშვილი), წარმოდგენილია დებულება ინფინიტივის მაწარმოებელთა და კლასკატეგორიის ნიშანთა გენეტური ურთიერთობის შესახებ — კერძოდ ბუღუზურის მასალების მიხედვით (ვლ. ფანჩვიძე) და სხვა...

E. სახელთა ბრუნვის პრობლემა კავკასიურ ენებში განხილულია ნაშრომებში: „ბრუნვის საკითხი აფხაზურში“ (1939 წ. ქ. ლომთათიძე), „ბრუნვის ადილურის ბრუნვათა საკითხისათვის“ (1937 წ. გ. როგავა), „ნიცმითის ბრუნვა ხუნძურში“ (1939 წ. არნ. ჩიქობავა), „ბრუნვის სისტემისათვის უდურ ენაში“ (1934 წ. ვ. თოფურია), „სახელთა ბრუნვის სისტემა ბუღუზურ ენაში“ (1934 წ. ვ. თოფურია) და სხვა.

(1941 წ. ვლ. ფანჩიძე), „ძირითადი და თანდებულიანი ბრუნვები ინგუშურსა და ჩაჩნურში“ (1940 წ. დ. იმნაიშვილი), „სახელთა ბრუნება კაპუჭურში“ (1941 წ. ვლ. ლომთაძე), „სახელთა ბრუნებისათვის უდურ ენაში“ (1936 წ. ვლ. ფანჩიძე), „ერთ და ორ-ფუძიან სახელთა ბრუნება ბაცბიურში“ (1942 წ. რ. გაგუა). აღნიშნულ ნაშრომებში ცალკეული ენების მიხედვით გაანალიზებულია ბრუნების სისტემა კავკასიურ ენებში, დაზუსტებულია წინა მკვლევართა მონაცემები, დადასტურებულია ახალი ენობრივი მოვლენები დიალექტური და ისტორიული განხილვის საფუძველზე...

ფ. შთის კავკასიურ ენათა ფონეტიკური შედგენილობა და ისტორიული ფონეტიკის საკითხები განხილულია ნაშრომებში: „Звуковые возможности кавказских языков. 1. Принципы классификации согласных абхазского языка“ (1940 წ. გ. ახვლედიანი), „ზ ბგერისათვის აფხაზურში“ (1937 წ. ქ. ლომთათიძე), „აბაზური კილოს ფონეტიკური სისტემა“ (1940 წ. ქ. ლომთათიძე), „შიშინა აფრიკატები ქვემო-ადილეურში“ (1939 წ. გ. როგავა), „ქვემო-ადილეურის შათსულური დიალექტის ფონეტიკა“ (1940 წ. გ. როგავა), „შიშინა აფრიკატთა სპირანტიზაცია ადილეურ ენებში“ (1941 წ. გ. როგავა), „ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართველურსა და ადილეურ ენებში“ (1942 წ. გ. როგავა), „ფონეტიკური პროცესები ხუნძურ დიალექტებში“ (1940 წ. არნ. ჩიქობავა), „ლაკური ენის ბგერითი სისტემა და ფონეტიკური პროცესები“ (1937 წ. ვ. თოფურიძე), „დარგუული ენის წუდა გარული დიალექტის ფონეტიკური თავისებურებანი“ (1940 წ. შ. გაფრინდაშვილი), „ბუდუხური ენის ბგერითი სისტემა“ (1939 წ. ვლ. ფანჩიძე) და სხვა.

გ. შთის კავკასიურ ენათა ლექსიკური შედგენილობა და მისი მინარტეხი ქართველური ენების ლექსიკასთან გარკვეულია ნაშრომებში: „ხუნძურისა და ქართველური ენების ლექსიკური შეხვედრები“ (1937 წ. არნ. ჩიქობავა), „ნათესაური ნომენკლატურის ურთიერთობა ხუნძურ ენაში“ (1938 წ. არნ. ჩიქობავა), „აფხაზურ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი“ (1938—39 წ. ქ. ლომთათიძე), „ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან“ (1940 წ. თ. გონიაშვილი), „ბაცბიურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (1939—1942 წ. წ. ნ. ქადაგიძე), „მასალები უდური ენის ლექსიკონისათვის“ (1937 წ. ივ. სილიკაშვილი) და სხვა.

აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ ყურადღება გამაზვიებელია კავკასიური ენების დიალექტების შესწავლაზე: დიალექტთა მონაცემები გამოყენებულია ამ ენათა ისტორიის მიზნებისათვის. ამ მხრივ საყურადღებოა ქ. ლომთათიძის მონოგრაფია „აფხაზური ენის ტაბანთური დიალექტი“ (თბილისი 1944 წ.), რომელიც ავტორმა წარმატებით დაიცვა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

გარდა ამისა სისტემატურად მუშავდებოდა სხვა საკითხებიც ამ ენათა ფონეტიკიდან, მორფოლოგიიდან, ლექსიკოლოგიიდან და ა. შ.

განსაკუთრებით საყურადღებოა სხვა კავკასიურ ენათა ქართველურ ენებთან ურთიერთობის პრობლემა. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ივ. ჯავახიშვილის ფუნდამენტალური შრომა „ქართული და კავკასიური ენების

თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1937 წ.), რომელშიც პირველად მოცემული კავკასიურ და ქართველურ ენათა საფუძვლიანი შედარებითი კვლევა-ძიება ამ ენათა ისტორიის გათვალისწინებით. ამ ნაშრომის მიზანს თვით ავტორი გვამცნევს სიტყვებით (გვ. 95):

„წინამდებარე წიგნის მიზანს ქართულისა და ე. წ. კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნებისა და მონათესაეობის საკითხის გამორკვევა შეადგენს. რაკი ენის ბუნება ზის აგებულებაში მოჩანს, ამიტომ უნდა გავიგოთ, წინათ და თავდაპირველად ამ ენებს ისეთივე აგებულება ჰქონდათ, როგორიც ესაა აქვთ, თუ მათი ბუნება საუკუნეთა განმავლობაში შეცვლილია? იმ შემთხვევაში, თუ გამოირკვა, რომ ამ ენათა აგებულება შეცვლილია, რა თვისებისაა ეს ცვლილება, რამდენად არსებითია ეს პროცესი და რა გარემოებას და მიზეზებს უნდა გაგვმოეწვია ამ ენების ბუნების შეცვლა. დასასრულ, ამ ენების მორფოლოგიის ასეთი შეცვლილობა დაახლოებით როდის შეიძლება, რომ მომხდარიყო.

თავისთავად ცხადია, რომ ამ ენათა აგებულების პრობლემის შესწავლამ საშუალება უნდა მოგვცეს ძირითადი საკითხი გადავწყვიტოთ: უფლება გვაქვს, თუ არა, ქართულისა და ე. წ. კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების გამოვსწავლოთ? თუ კავკასიური ენებისა და ქართულის თავდაპირველი ნათესაობა უეჭველი ქეზმარიტება აღმოჩნდა, მოეძებნებათ ამ ენებს კიდევ მონათესაეები, თუ არა, თუ თვისტომნი ჰყოლიათ, ვინ და ხად სახელდობრ?“.

ამ მიზნით ავტორი არაჩვეულებრივი სიღრმით განიხილავს გრამატიკული კლასიკატეგორიისა, რიცხვითი სახელების, ნაცვალსახელებისა და ზმნის აგებულების ზოგად პრინციპებს ქართულსა და მთის კავკასიურ ენებში, ანალიზს უკეთებს მდიდარ ენობრივ მასალას და იძლევა ფრიად საყურადღებო დასკვნებს.

ამავე რიგის გამოკვლევებს განეკუთვნება ნაშრომები: „მორფოლოგიური შეხვედრები აფხაზური ენისა ქართველურ ენებთან“ (1941 წ. არნ. ჩიქობავა), „სვანურ-ადილეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები“ (1942 წ. ს. ჯანაშია), „ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართველურსა და ადილეურ ენებში“ (1942 წ. გ. როგავა), „ხუნძურისა და ქართველური ენების ლექსიკური შეხვედრები“ (1937 წ. არნ. ჩიქობავა), „ლაკურისა და ქართველურ ენათა ლექსიკურ-გრამატიკული პარალელები“ (1941 წ. ვ. თოფურია), „მორფოლოგიური შეხვედრები უღური ენისა ქართულთან (resp. ქართველურ ენებთან)“ (1941 წ. ვლ. ფანჩიძე), „ნ და ხ ფენებისათვის ქართველურ ენებში“ (1942 წ. ვ. თოფურია), „ადილეური ფენა სვანურში“ (1942 წ. გ. როგავა). ამ ნარკვევებში მოცემულია შედარებით-ისტორიული კვლევა-ძიება როგორც ქართველური, ისე მთის კავკასიური ენობრივი სინამდვილისა, დადასტურებულია საყურადღებო შეხვედრები ამ ენებში ტიპოლოგიური თუ გენეტიკური ხასიათისა — ფონეტიკისა, მორფოლოგიისა და ლექსიკაში — და მოცემულია ცდა კავკასიურ ენათა ზოგი მოვლენის უძველესი ისტორიის გათვალისწინებისა...

კავკასიურ ენათმეცნიერებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენათმეცნიერებისა, ფილოლოგიისა და ისტორიული მეცნიერების ყურადღება იმთავითვე იყო მიქცეული ძველი ალბანეთის პრობლემისაკენ: ცნობილია, რომ ძველი ალბანეთის შესახებ მხოლოდ კანტიკუნტი ცნობები მოიპოვება. ამიტომ განსაკუთრებით ცდილობდნენ სათანადო წყაროების მოპოვებას. 1938 წ. ი. აბულაძემ აღმოაჩინა ალბანური ანბანი, ხოლო ა. შანიძემ ამ ანბანს უძღვნა სპეციალური გამოკვლევა, რომელშიც გარდა ახლად აღმოჩენილი ანბანის გარკვევისა და დადგენისა განხილულია ძირითადი საკითხები ალბანური ენისა და მწერლობის ისტორიისა (А. Шанидзе. Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки; И. Абуладзе. К открытию алфавита кавказских албанцев: «ენიმკი-ს ზომბე», IV, 1939 წ.). ამ ნაშრომით მეცნიერულ საფუძველზე მყარდება ალბანიისტიკის განვითარება, ალბანური ენისა და ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმე.

* *

VI. ახლო აღმოსავლეთის ენათა შესწავლა. აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოში არ არსებობდა არა თუ არც ერთი სამეცნიერო დაწესებულება ან ორგანო, თითქმის არც ერთი ცალკე გამოკვლევაც კი, მიძღვნილი აღმოსავლეთის ენების, მწერლობისა და ისტორიის საკითხებისათვის. სულ სხვა მდგომარეობაა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში საქართველოში შეიქმნა აღმოსავლეთმცოდნეობის ცენტრი, რომლის ნამუშევარს სათანადოდ აფასებენ საბჭოთა კავშირის სამეცნიერო წრეები და რომელსაც ანგარიშს უწყევენ დასავლეთ ევროპის მეცნიერებიც. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. მარის სახელობის ინსტიტუტში 1936 წ. დაარსდა აღმოსავლურ ენათა განყოფილება, რომელშიაც წარმოდგენილია ძირითადი ძველი და ახალი აღმოსავლური ენები (აქადური, ურარტული, ძველი და ახალი-სპარსული, არაბული, თურქული). გარდა ამისა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა (1933 წლიდან) აღმოსავლური ენების კათედრა ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ამჟამად უნივერსიტეტში არსებობს სპეციალური ფაკულტეტი აღმოსავლეთმცოდნეობისა (1945 წლიდან) აღმოსავლეთის ენათა და მწერლობათა შესასწავლად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის სამეცნიერო კადრები წარმატებით მუშაობენ აღმოსავლური ენებისა და კულტურის ისტორიის დარგში. გამოცემულია ტექსტები თარგმანებთან და კომენტარებით, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ქართველი ხალხის აღმოსავლეთის ქიეზნებთან კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შესასწავლად. გარდა ამისა სწავლობენ ჩვენი მეზობელი ხალხების ენებს. წარმატებით ვითარდება საბჭოთა საქართველოში არაბისტიკა, საზოგადოდ ხემიტოლოგია (გ. წერეთელი, ა. ლეკიაშვილი, კ. წერეთელი), ირანისტიკა (ი. მარი, იუსტ. აბულაძე, ვ. ფუთურაძე, მ. ხუბუა, დ. კობიძე, მ. ანდრონიკაშვილი).

ლი), თურქოლოგია (ს. ჯიქია), მეცნიერების დარგები, რომლებიც სწავლობენ საქართველოს კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვან ენებსა და კულტურებს.

გ. წერეთელმა აღწერა შუა აზიის ორიგინალური დღემდე უცნობი კოლო („შუა აზიის არაბული ენის ფონეტიკური და მორფ. თავისებურებანი“, 1937), რომელიც საინტერესოა არაბული ენის ისტორიისა და დიალექტოლოგიისათვის. ჩვენი არაბისტები მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ჩრდილოკავკასიური წარმოშობის არაბული ძეგლების დამუშავებაში, რომლებიც საყურადღებოა არა მარტო როგორც ნიმუშები ჩრდილო კავკასიის ორიგინალური არაბული მწერლობისა, არამედ ნათელს ჰფენენ აგრეთვე საკითხს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლისა ნუფის რუსეთის წინააღმდეგ. ამ მხრით აღსანიშნავია შაჰილის პიროვნებასთან დაკავშირებული დოკუმენტების აღმოჩენა საქართველოს მუზეუმში და მათი მეცნიერული გამოცემა¹. საყურადღებოა აგრეთვე გ. წერეთლის „არაბული ლექსიკური ელემენტები ქართულში“ (1940) და სხვა.

ს. ჯიქია სწავლობს საქართველოს სამხრეთი რაიონების ქართველი მოსახლეობის თურქული მეტყველების თავისებურებებს („Об одном морфологическом явлении в ахалских наречии анатолийско-турецкого языка“: «თბ. უნივ. შრომები», ტ. VI) და ამ მხარის ისტორიის თურქული პერიოდის ისტორიულ ძეგლებს. კერძოდ ს. ჯიქიას მიერ ამოკითხულ იქნა და გადმოითარგმნა ქართულად „გურჯისტანის ვილაიეთის საბეგრო დავთარი“ მე-16 ს. დამდგენისა, პირველხარისხოვანი და ვრცელი ისტორიული წყარო. მნიშვნელოვანია აგრეთვე მისი გამოკვლევა: „თურქული ლექსიკური ელემენტები ქართულში“ (1940) და სხვა.

ირანისტკის დარგიდან აღსანიშნავია იური მარის „სპარსულ-რუსული დოკუმენტირებული ლექსიკონი“ (ნაკვეთი I, თბილისი 1935), მისივე წერილები შ. რუსთაველის თანამედროვე პოეტებისა ხაკანისა და ნეზამის შესახებ, (კრებულში „Незами-Хакани—Руставели“: ენიმკი-ს გამოც. თბილისი 1936). აღსანიშნავია აგრეთვე ი. მარისა და კ. დონდუას პუბლიკაცია: „სპარსულ-ქართული ცდანი“ (1926); ვ. ფუთურიძის წიგნი „ისტორი-ჰუდუდ აღლემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი“ (ტფილისი 1937 წ.), მისივე წერილი სპარსული ვისრამიანისა და ქართული ვისრამიანის ურთიერთობის შესახებ (თეირანის ჟურნ. „მეჰრ“-ში) და მ. ხუბუას წერილი „მხატვრული პროზის საკითხისათვის უახლეს ირანულში“ („თბილ. უნივ. შრომები“, IV), მისივე „სპარსული ლექსიკური ელემენტები ქილილა და დამანას ქართულ თარგმანში“ და სხვა. ცალკე მოსახსენებელია ვ. ფუთურიძის რედაქტ. გამოსული „ფ. გორგიჯანიძის ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი“ (1937).

წარმატებით მუშავდებოდა აგრეთვე ერთ-ერთი ირანული ენა—ოსური—გ. აბულედიანის ნაშრომებში, რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი (აქვე, გვ. 82).

¹) «საქართვე. სახელმწ. მუზეუმის მოამბე», ტ. IX, ტფილისი, 1936; ЗИВ АН СССР, Л. 1935; Труды первой сессии арабистов, Л. 1936.

აღმოსავლეთის ენათა შესწავლის ხაზით აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ ჩვენმა სპეციალისტებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს სასწავლო-პედაგოგიკური ლიტერატურის შედგენისა და დამუშავების მხრივ. ამგვად ჩვენ მოგვეპოვება აღმოსავლური ენების სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე. ამათგან აღსანიშნავია ი. მარისა და ვ. ფუთურიძის „სპარსული ქრესტომათია“ (1935), იუსტ. აბულაძის „ირანული ენის სახელმძღვანელო“ (1939), გ. წერეთლის „არაბული ქრესტომათია“ (1935) და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა საქართველოში გაჩნდა და განვითარების სწორ გზაზე დადგა ძველი აღმოსავლეთის ენებისა და კულტურის მეცნიერული შესწავლის საქმე. ძველი აღმოსავლეთი, განსაკუთრებით ქართველ ტომთა უძველეს ისტორიასთან დაკავშირებით, აინტერესებდათ მე-19 საუკუნეშიაც. მაგრამ ძველი აღმოსავლეთის ენების დამოუკიდებელი კვლევის შესაძლებლობა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში გაჩნდა, როდესაც მეთოდოლოგიურად და ფაქტიური ცოდნის (ქართველოლოგია, კავკასიოლოგია, ასირიოლოგია) მხრივ სათანადოდ აღჭურვილმა მეცნიერებმა მიჰყვეს ხელი ამ საქმეს. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ გ. წერეთლის ნაშრომი „საქართ. მუზეუმის ურარტული ძეგლები“ (1937), ლურსმული ტექსტები, დედანსა და ტრანსკრიპციაში, თარგმანითა და გამოკვლევით. ამგვარივე ხასიათის ნაშრომია მისივე „არმაზის ბილინგვა“ (1942), რომელშიც გაშიფრულია არამეული წარწერა მცხეთიდან და დასმულია რიგი საკითხები ქართული და არამეული დამწერლობისა და ენისა და სხვანი.

ძველი აღმოსავლეთის ენებსა და კულტურაზე, კერძოდ, მათს კავშირზე ქართველურ ენებსა და ქართულ კულტურასთან მუშაობენ სხვა ქართველი მეცნიერებიც. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ს. ჯანაშიას რიგი გამოკვლევები: „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“ („ენიკი-ს მოამბე“, ტ. I, 1937), „უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე“ (იქვე, ტ. V—VI, 1941), „ხეტების ისტორიისა და ენის საკითხისათვის“ და სხვა, ა. შანიძის „ტობადის ეტიმოლოგია“ („ენიკი-ს მოამბე“, ტ. I, 1937), არნ. ჩიქობავას „მიმართულებითი ბრუნვის წარმოებისა, მნიშვნელობისა და ისტორიისათვის“ (იქვე, ტ. I), მისივე — „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (თბილისი, 1942), გ. ახვლედიანის „ზოგიერთი არა ირანული ტომის დასახელების საკითხისათვის აქემენიდთა ლურსმულ წარწერებში“ (1942), ივ. ჯავახიშვილის „ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში“ („ენიკი-ს მოამბე“, ტ. I, 1937), მისივე: — „Основные историко-этнол. проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего Востока древнейшей эпохи“ („Вестн. Древн. Истории“, № 4, 1939) და სხვა.

VII. ზოგადი ენათმეცნიერება. ნაყოფიერი იყო აგრეთვე ზოგადი ენათმეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში. გათვალისწინებას იმ გზისას, რომელიც განვლო ზოგადენათმეცნიერულმა აზროვნებამ საქართველოში, აქვს პრინციპულ-მეთოდოლოგიური მნიშვნელობა. ქართული ზოგადი ენათმეცნიერების წარმომადგენელთა ნააზრევნი უკვე პოულობს რეზონანსს საქართველოს გარეთ და რამდენადმე მიმართულებას აძლევს საბჭოთა ენათმეცნიერებას.

მანამდე საქართველოში არამც თუ არ იყვნენ ორიგინალური მოაზროვნენი ზოგადი ენათმეცნიერების საკითხების შესახებ, — მსოფლიო ენათმეცნიერების განვითარებასაც კი ვერ მიჰყვებოდნენ ფეხდაფეხ. მაშინ როცა თუნდაც ძველ რუსეთში და დასავლეთშიც უკვე დუღდა ენათმეცნიერული ცხოვრება, თავისი მსოფლმხედველობით გამოვიდნენ ჯერ ნეოგრამატიკოსები და შემდგომ სოციოლოგები, რომელთა ნააზრევნი უთუოდ იყო პროგრესი ენათმეცნიერების ისტორიაში, საქართველოში ჩვენ გვაქვს ფილოლოგიური გრამატიკის — სასკოლო-ლოგიკისტური გრამატიკის ბატონობა. ამ გრამატიკის, შეიძლება ითქვას, ყველაზე მოწინავე წარმომადგენელი, მაგალითად, ს. ხუნდაძე უარყოფითად შეხვდა და ვერ გაიგო ა. შანიძის ისეთი გამოკვლევა, როგორიც იყო „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. ასეთ პირობებში განსაკუთრებით პრინციპული მნიშვნელობისა ჩანს ის კვლევა-ძიება, რომელიც ქართველმა ენათმეცნიერებმა ჩაატარეს ზოგადი ენობრივი პრობლემების დასმისას და დამუშავებისას.

სალი მეთოდოლოგიური ბაზისი და პრინციპული კვლევის ტრადიცია შექმნა იმთავითვე გ. ახვლედიანის პირველმა საუნივერსიტეტო კურსმა („ენათმეცნიერების შესავალი“, ნაკვ. I, II, III, 1919—20 წ. წ.). ეს ნაშრომი იძლევა იმდროინდელი მოწინავე ენათმეცნიერული ნააზრევის სისტემატურ დასაგებას (რამდენადაც იგი განკუთვნილი იყო სახელმძღვანელოდ). გარდა ამისა მასში მოცემულია კრიტიკული შეფასება ძირითადი პრობლემებისა და არის ცდა ახალი მეთოდოლოგიური პრინციპების წამოყენებისა. ამგვარ გარემოში და მისი ხელმძღვანელობით იზრდებოდა ქართული ზოგადი ენათმეცნიერების თვალმაჩინო წარმომადგენელი — არნ. ჩიქობავა, რომლის მოღვაწეობასთანაც დაკავშირებულია ზოგადი ენათმეცნიერების განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში.

1924 წელს „საენათმეცნიერო საზოგადოების კრებულში (მედიანოვო)“ ქვეყნდება ორი საპროგრამო წერილი: რედაქციის „წინასიტყვაობა“ და არნ. ჩიქობავას „ზოგადი თვალსაზრისისათვის“ (გვ. 12 შმდ.). ორივე ეს წერილი გადაიქცა ქვაკუთხედად ზოგადი ენათმეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის. ამ წერილებში ნათლადაა წარმოდგენილი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები, სახელდობრ, ერთგან იქ ნათქვამია:

„1. ინდო-ევროპული ენათმეცნიერების სახით ჩვენს წინ არის მდგომარეობა ჩამოყალიბებული საენათმეცნიერო დისციპლინა, მკვიდრად აგებული მეთოდოლოგიური საფუძველზე: შედარებით-ისტორიული ძიების ენა ინდო-ევროპული ენათმეცნიერების ის მონაპოვარია, რომელზედაც დამყარებულია ენის შესწავლისას აუცილებელია: ექსპერიმენტული და ზოგადი ენათმეცნიერების“

კი ძირითადი დამხმარე საშუალებაა ამ შედარებით-ისტორიული მეთოდით მუშაობისას: ამ მხრივაც ინდო-ევროპისტიკა ჩვენი ავტორიტეტის მასშტაბებზე და მწვერთნელი უნდა იყოს.

მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება, რამდენადაც საქმე კავკასიურ ენათა სინამდვილის მეცნიერულ (resp. ენათმეცნიერულ) ცნებებში აკინძვას შეეხება. ინდო-ევროპული ენათმეცნიერების მეთოდების უყოყმანო მიღება ინდო-ევროპისტიკის ცნებათა უკრიტიკოდ გადმონერგვას სრულიადაც არ ნიშნავს... (წელიწადი, წინასიტყვ., გვ. V)

ხოლო მეორე წერილში მოცემულია ამ ინდო-ევროპული ენათმეცნიერების კრიტიკული განსჯა იმ ნაწილში, რის უარყოფაც აუცილებელი იყო, თუ გვინდოდა ზოგად ენათმეცნიერებას სწორობა გვქონოდა („ზოგადი თვალსაზრისი“, გვ. 15 შმდ.). იმავე კრებულში წარმოდგენილია აგრეთვე კონკრეტული განსჯა ლოგიკურისა და გრამატიკულის ურთიერთობისა და ნაწევრებისა, რა შემეცნებითი ღირებულება აქვს ამ ორი კატეგორიის მოვლენათა და ცნებათა თავისთავადობის საკითხს (არნ. ჩიქობავა, „ყველაწილი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით“, წელიწადი, გვ. 23 შმდ.).

1928 წელს გამოდის—როგორც პირველი სადოქტორო დისერტაცია ზოგად ენათმეცნიერებაში თბილისის უნივერსიტეტში—არნ. ჩიქობავას „მარტოვი წინადადების პრობლემა ქართულში. I. ქვემდებარე დამატების საკითხი ძველ ქართულში“ (თბილისი 1928). ამ ნაშრომის თითქმის ორი მესამედი წარმოადგენს ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემათა ანალიზს ქართველურ ენათა მასალებზე და პრობლემათა რიგის მოხაზვას, რომლებიც უაღრესად აქტუალურია ქართველურ და კავკასიურ ენათა კვლევის თვალსაზრისით. ნაშრომის I ნაწილში ენათმეცნიერების ძირითადი საკითხები გათვალისწინებულია ენათმეცნიერების მთელი ისტორიის გასწვრივ და მოცემულია კრიტიკული განსჯა ლოგიკიზმისა, ფსიქოლოგიზმისა და ფორმალიზმისა ენათმეცნიერებაში. II ნაწილში დასაბუთებულია ენათმეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები, რომელნიც ავტორს გამოყენებული აქვს მესამე ნაწილში სინტაქსის ძირითადი საკითხების გარკვევისას. ეს მეთოდოლოგიური პრინციპები შემდგომში გაიშალა 1935 წელს გამოსულ წიგნში „ზოგადი ენათმეცნიერება. I. პროპედევტიკული კურსი“ (მეორე გამოცემა—1939 წ.). წიგნი პირველ რიგში სახელმძღვანელოდ არის განკუთვნილი. მაგრამ, გარდა ამისა, მასში მოცემულია ახალი თვალსაზრისი თითქმის ყველა ძირითადი საენათმეცნიერო საკითხის შესახებ. ასეთია: ენის რაობისა და ფუნქციების საკითხი, ენათმეცნიერების დარგთა კლასიფიკაციისა და ურთიერთმიმართების საკითხები, ენათა ნათესაობის პრობლემა, სიტყვისა, ფუძისა და აფიქსების კლასიფიკაციის საკითხები, სემასიოლოგიისა და სტილისტიკის პრობლემები და სხვადასხვა.

მაგრამ, რაც მეტად არსებითია და მნიშვნელოვანი საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარების თვალსაზრისით, ესაა ის ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპი, რომელსაც ავტორი ემყარება თავის კვლევა-ძიებაში. ავტორი ამბობს (მეორე გამოცემა, გვ. XIX): „რაც შეეხება ძირითად ფუძემდებელ საკითხებს, ავტორი

შეგნებულად ემყარებოდა დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებს და ცდილობდა მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და პასუხისმგებლობის სრული შეგნებით ცხადეყო ამ პრინციპების შემეცნებითი ძალა ძირითად თეორიულ საკითხთა გაშუქებისას¹.

მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვანია აგრეთვე, სხვათა შორის, ავტორის შემდგომი ნაშრომებიც, როგორიცაა: „იაფეტური თეორიის პალეონტოლოგიური მეთოდი და საბჭოთა ენათმეცნიერების ამოცანები“ (1939 წ.) და „Проблема языка, как предмета лингвистики, в свете основных задач советского языковедения“ („ენიმიკი-ს მოამბე“, ტ. X, 1940). უკანასკნელი მოხსენებად იქნა წაკითხული საკავშირო აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების სესიაზე—27. V. 1940 წ. მოხსენებამ გამოიწვია ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა და იგი აღმოჩნდა ერთგვარად ახალი ეტაპის დამწყებად ენათმეცნიერული ნააზრევისა საბჭოთა კავშირში. ამას ადასტურებს ისიც, რომ ამ მოხსენების შემდეგ გამოქვეყნდა აკად. ი. მეშჩანინოვის და ვ. ე. ი. რ. მ. უ. ნ. ს. კ. ს. წერილები¹, მოხსენებად წაკითხული 1940 წლის სექტემბერში, რომელნიც ზოგიერთ ნაწილში არსებითად ავითარებენ არნ. ჩიქობავას მოხსენების ძირითად დებულებებს. ავტორი იძლევა ამ ნარკვევში ძირითად შეხედულებათა კრიტიკულ-ისტორიულ ანალიზს ენის რაობის შესახებ და წარმოგვიდგენს ზოგად მეთოდოლოგიურ დებულებებს ენათმეცნიერების რაობისა და ენობრივი კვლევა-ძიების გზების შესახებ (განხილულია პ. პაულის, ა. მეიეს, ფ. სოსიურის, კ. ფოსლერის მოძღვრებები, აგრეთვე—აკად. ნ. მარის იაფეტური თეორიის დებულებები)...

ამ ნარკვევში აღძრული საკითხები ავტორს ვრცლად წარმოადგენილი აქვს სპეციალურ შრომაში „ზოგადი ენათმეცნიერება“, ნაწ. II. ძირითადი პრობლემები (თბილისი 1945), რომელშიც განხილულია თანამედროვე ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები.

გარდა გ. ახვლედიანისა და არნ. ჩიქობავასი ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემებს იკვლევენ აგრეთვე სხვა ქართველი ენათმეცნიერებიც (გ. წერეთელი და სხვა). საყურადღებოა ის, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში თბილისის უნივერსიტეტში გ. ახვლედიანისა და არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით სპეციალურად მომზადდა ასპირანტი ზოგად ენათმეცნიერებაში, რომელმაც წარმატებით დაიცვა დისერტაცია (თ. შარაძენიძე, ენათა კლასიფიკაციის პრინციპები 1942)

აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემების კვლევა-ძიებას ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ ქართველი ფსიქოლოგებიც. ამ მხრით უნდა მოვიხსენიოთ ნაშრომები: „Impersonalia“ დ. უზნაძისა (ჩვენი მეცნ., 1, 1923), „სახე-დების ფსიქოლოგიური საფუძვლები“ (მისივე), „ენის შინაგანი ფორმის ცნება“ (1943 წ. მისივე), „სიტუაცია შინაგანი ფორმა“ (1940 წ.) ა. ბოჭორიშვილისა, „Gestalt-psychologie

¹ «Известия АН СССР Отделение Литерат. и Языка», 1940, № 3, 83-833.

და ენათმეცნიერება“ (მისივე), „სიტყვის მნიშვნელობის პრობლემა“ (1941 წ. მისივე) და სხვა.

ზოგადი ენათმეცნიერების ნაყოფიერი საქმიანობა, სხვათა შორის, შეპირობებულია საერთოდ ქართული ენათმეცნიერების წარმატებითი განვითარებით. იმავე დროს თვით ზოგადი ენათმეცნიერებაც გავლენას ახდენს და ხელს უწყობს კერძოობითი ენათმეცნიერული დარგების წინსვლას: ზოგადი ენათმეცნიერული პრობლემატიკა გადადის ცალკეულ ენათა კვლევა-ძიებაში და კონკრეტულ ენობრივ მასალაზე მათ ეძლევა ახალი გაშუქება და დასაბუთება. საამისო ნიმუშები მოყვანილია სათანადო ადგილებზე.

* *

IX. ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა. ზოგადი ენათმეცნიერების განვითარებასთან, კერძოდ, გ. ახვლედიანის მოღვაწეობასთან დაკავშირებულია ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის განვითარებაც ჩვენში. მეცნიერული ფონეტიკური (კერძოდ ექსპერიმენტული) კვლევა საქართველოში იწყება თბილისის უნივ. ენათმეცნიერების კათედრაში (გამგე გ. ახვლედიანი) 1921—23 წლებიდან და განსაკუთრებით „საენათმეცნიერო საზოგადოებაში“. ამ დროიდან ქვეყნდება წმინდა ფონეტიკური ნაშრომები უმთავრესად ქართული ენისა (დიალექტებითურთ). ამ პერიოდს ეკუთვნის სპეციალური გამოკვლევები გ. ახვლედიანისა ქართული და ზოგადი ფონეტიკიდან: 1. „ერუ «მელერები» ქართულში“ (ერუ. «განათლება»), სადაც დადგენილია ქართულ „მელერთა“ სუსტი მელერობა; 2. „მარცვლის საკითხის გარშემო“ («მომავალი», 1921): დადგენილია მეტათეზისის ერთი კანონზომიერება; 3. „მკვეთრი ხშულნი ქართულში“ («ტფ. უნივ. მოამბე», II, 1922—23): შრომაში გაშუქებულია ქართული კონსონანტიზმის ძირითადი თავისებურება, კერძოდ, რუსულთან შედარებით; 4. „შენიშვნა ვფარები, ქარე“-ს შეახებ“ («ჩვენი მეცნიერება», 1923); 5. „მასალები აფხაზურ ბგერათა ფიზიოლოგიისათვის“ («მიმომხილველი», I, 1926), სადაც მოცემულია ზუსტი დაკვირვება აფხაზურის სპეციფიკურ თანხმოვნებზე; 6. „შენიშვნები ქართულ ბგერათა კლასიფიკაციისათვის“ («მიმომხილველი», I, 1926)—საფუძვლად დაედო ქართულ თანხმოვანთა „სამე-ულებად, წყვილეულებად და ცალეულებად“ დაყოფას და სხვა. ამავე პერიოდს განეკუთვნება გ. ახვლედიანის ნაშრომები ოსური ენის ფონეტიკიდან, რომლებიც საყურადღებოა ზოგადი ფონეტიკის თვალსაზრისითაც.

საყურადღებოა გარდა მოხსენებულისა ფონეტიკური გამოკვლევები უპირატესად ცალკეული ქართველური ენებისათვის ა. შანიძისა, ა. ჩიქობავასი, ვ. თოფჩურიასი, გ. წერეთლისა და სხვ. (იხ. თავ-თავის ადგილას).

1930—32 წლამდე კვლევის მეთოდი იყო უმთავრესად უშუალო დაკვირვება ცოცხალ წარმოთქმაზე და ისტორიული და შედარებითი შესწავლა ქართველურ და სხვა კავკასიურ ენათა ფონეტიკური მოვლენებისა. ამ დროიდან კი შესაძლებელი შეიქმნა ექსპერიმენტული კვლევა: უნივერსიტეტში ეწყობა ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია (გამგე გ. ახვლედიანი). ძველ კად-

რებს ემატება ახალიც (ს. ჟღენტი, ქ. ლომთათიძე, მ. ხუბუა, სტ. ჩხენკელი, შ. ძიძიგური, გ. როგავა და სხვა).

დაარსება ენიმკი-ში ფონეტიკის კაბინეტისა (1936 წ.—გამგე გ. ახვლედიანი) ფონეტიკურ კვლევას უქმნის ახალს, მძლავრს სტიმულს. კაბინეტმა უკვე ჩაატარა კიმოგრაფიული და ფონოგრაფიული ჩაწერა ქართულის, ჭანურის, სვანურის, აფხაზურის, ლაკურისა და აგრეთვე შუა აზიის არაბული ცოცხალი მეტყველებისა. ქართველურ და კავკასიურ ენათა ბგერითი შედგენილობის შედარებითი შესწავლა მიმდინარეობს სინოპტიკური ცხრილების შედგენის სახით არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და ბგერების ექსპერიმენტულად შემოწმების საფუძველზე.

ასეთი მუშაობის შედეგად მიღებულია მნიშვნელოვანი მეცნიერული პროდუქცია, დაბეჭდილი ან დასაბეჭდად გამზადებული შრომების სახით. ამგვარია: 1. „ხშულთა დისიმილაციური გამჟღერება ოსურში“ (გ. ახვლედიანი). აქ ავტორმა დაადგინა კანონზომიერება, რომლის მიხედვით ირკვევა ოსთა ენობრივი (და კულტურული) თანდათან შეგუება კავკასიური ტენების (და კულტურის) სინამდვილესთან. 2. „ფაუკალური და ლატერალური თანხმოვნების საკითხისათვის ქართულში“ (გ. ახვლედიანი): დამტკიცდა ფაუკალურ და ლატერალურ ბგერათა იმთავითვე არარსებობა ქართულში და ამის საფუძველზე ახსნილია ქართულ ბგერათა ისტორიული გამძლეობა. გზადაგზა ავტორმა გამოიკვლია სლავური, კერძოდ, რუსული ენის ისტორიის ერთი აქამდე აუხსნელი პრობლემა („греб—гребл, пад—падл...“); 3. „ფონეტიკური შენიშვნები“ (გ. ახვლედიანი, „ენიმკი-ს მოამბე“, ტ. I); ა. „საშუალო მეღერობა“ თუ „ასპირაცია“, ბ. „ქართულის ფარინგალური თანხმოვნები“, გ. „ქართულ აფრიკატებზე“; 4. „ბუნებრივი მარცვალგასაყარის შესახებ“ (გ. ახვლედიანი). პირველად ახსნილია თანხმოვანთა არტიკულაციის ფიზიოლოგიური თანამიმდევრობა ქართვ. ენებში; 5. „ფონეტიკური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია. I. ქართველური ენები“ (რედაქტ. გ. ახვლედიანი, თბილისი, 1937), რომელშიაც წარმოდგენილია ქართველურ ენათა შესახებ ფონეტიკური ლიტერატურის ვრცელი ანოტაცია; 6. ფონეტიკური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია. II. კავკასიური ენები (რედაქტ. გ. ახვლედიანი, თბილისი, 1940); 7. ს. ჟღენტი. „ბგერათგადაწევა ქართველურ ენებში“ (1938 წ.—1940); დადგენილია თანხმოვანთა გადაწევის შემთხვევები ჭანურში, მეგრულში, სვანურში, ძველ ქართულში და ქართული ენის ცოცხალ დიალექტებში. ამის საფუძველზე ირკვევა რიგი სიტყვების ეტიმოლოგია ქართველურ ენებში; 8. მისივე — „ლაბიალიზებულ თანხმოვანთა საკითხისათვის ქართველურ ენებში“ („ენიმკი-ს მოამბე“, ტ. X, 1941), რომელშიც დასაბუთებულია ლაბიალიზებულ თანხმოვანთა არსებობა ისტორიულად ქართველურ ენებშიც, რომლის ადგილას ამ ენებში ამჟამად ორი ფონემა დასტურდება; 9. მისივე — „ქართული აფრიკატების ექსპერიმენტული მონაცემებით“ (1944); Scripture-ის გრაფიკული ჩეთოდით მოცემულია ქართული აფრიკატების ანალიზი და გამორკვეულია მათი შედგენილობა; 10. მისივე — „სვანური ხმოვნების პალატოგრაფიები და რენტგენოგრაფიები“ (1945): ხელოვნური სასისა და რენტგენოგრაფიის მეთოდით გამოკვლეულია

სვანური ენის ხმოვნების პროფილი და ბუნება, დადგენილია ხმოვანთა პალატალიზაციისა და ლაბიალიზაციის პროცესები; 11. მისივე — „გრძელი ხმოვნები სვანურში“ (1945): ავტორი ამტკიცებს, რომ სვანურში არაა ხმოვანთა ისტორიული სიგრძე; 12. მისივე — „ფშვინვიერი შეშართვა სვანურ ხმოვნებში“ (1945): ბალსემოფორისა და ბალსქვემოფორისათვის დამახასიათებელია ხმოვანთა ფშვინვიერი შეშართვა, რაც დასტურდება სხვა ქართველური ენების მასალითაც (ყრბოდ ძველი ქართულისა); 13. მისივე — „შორისდებული ქართულ სალიტერატურო ენაში“ (1944): გარკვეულია შორისდებულთა შედგენილობა და ბუნება, მოცემულია მათი კლასიფიკაცია; 14. მისივე — „მეტყველების პოსტკონტუზიური დარღვევის ფონეტიკიდან“ (1944): მოცემულია ზოგიერთი დაკვირვება პოსტკონტუზიურად დარღვეული მეტყველების აღდგენის პროცესზე.

ამგვარი კერძობითი ხასიათის ფონეტიკური კვლევანიების შედეგად შესაძლებელი გახდა დამუშავებულიყო ზოგადი სისტემატური კურსი ფონეტიკაში: გ. ახვლედიანის „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები. I.“ (ტფილისი, 1938). ეს ნაშრომი წარმოადგენს სრულიად ორიგინალურ კურსს, რომელშიც სისტემატურადაა გადმოცემული ზოგადი ფონეტიკის პრინციპული დებულებები, მდიდარი ლინგვისტური მასალით ილუსტრირებული. ქართველურ ენათა ბგერითი სისტემის განვითარების შესახებ მოცემულია ისტორიული შენიშვნები. ცალკეულ ორიგინალურ და მანამდე ლიტერატურაში უცნობ მოსაზრებათა გარდა (როგორიცაა, მაგ. სლავური ჯგუფის სამხრულ-აღმოსავლურ ენებში ლატერალი ხშულის არსებობის ფაქტის ისტორიული აბსნა), ყურადღებას იპყრობს თავი „სოციალური ფონეტიკა“, რომელიც ძირითადად აგებულია ბგერათცვლის, როგორც ბგერათშერთვისა და ბგერათშერწყმის ფაქტორების ერთობლიობის თავისებურ გაგებაზე. ეს დებულება ზოგად ფონეტიკაში ახალ გაშუქებას აძლევს ენებში მიმდინარე კომბინატორული ხასიათის ფონეტიკურ პროცესებს. საყურადღებოა ბგერათშერთვის შეშართვა-დამართვის სახეობათა შედარებითი განხილვა ქართველურ ენებსა და რუსულში, რაც რელიეფურად აჩენს ამ ენათა ვოკალიზმისა და კონსონანტიზმის სპეციფიკურობას და ბგერათცვლის ძირითად ტიპებს. წარმოდგენილია ორიგინალური თეორია მარცვლისა და მარცვალგასაყრის შესახებ. აღსანიშნავია ზოგი ახალი მოსაზრება სამეტყველო ბგერის ტემბრის განხილვისას, ახალი მომენტების დადგენა სიმღერა-საკრავის ხმისა და სამეტყველო ბგერას შორის არსებულ განსხვავებაში. ორიგინალურია აგრეთვე ხმოვნისა და თანხმოვნის არსის ფიზიოლოგიური ანალიზი და ბგერის სხვა.

როგორც წინა ნაკვლევი, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი ნაშრომი, ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი მიღწევა აქვს ზოგადსა და ექსპერიმენტულ ფონეტიკას საქართველოში. ენათმეცნიერების ეს მეტად მნიშვნელოვანი დარგი საქართველოში დაეფუძნა მკვიდრ ნიადაგზე, მისი წინსვლა წარმოებს შეუჩერებლად და იგი თანდათან აღწევს მსოფლიო ფონეტიკური მეცნიერების ვითარებას.

ამჟამად იგი სვამს პრობლემებს ზოგადად ენის ფონეტიკური შესაძლებლობების შესახებ. ამ მხრივ საყურადღებოა ნაშრომები, როგორიცაა გ. ახვლედიანის „ფონეტიკისა და ფონოლოგიის“ ადგილის საკითხისათვის ლინგვისტურ დისციპლინათა შორის“ (თბ. უნრ. სამეცნ. სესია 7—11 მაისს 1940 წ., თეზისები), მისივე — „ხმოვანთა და თანხმოვანთა გენეზისური ურთიერთობისათვის“ („საქ. მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. III, № 9) და სხვა. უკანასკნელ ნაშრომში დასმულია საერთოდ ენის წარმოშობის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ სამეტყველო ბგერის გენეზისის საკითხი და წარმოდგენილია საყურადღებო დებულება, რომ ფიზიოლოგიურად პირველადია ხმოვანი, ხოლო სოციალურად თანხმოვანი.

გარდა ამ სპეციალური ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევისა ფონეტიკის კერძოობითი საკითხები წარმოადგენილია გამოკვლევებში ქართულურ და კავკასიურ ენათა შესახებ, რაც მითითებულია თავთავის ადგილას; მათზე აქ აღარ შეგვიჩვენებთ.

ფონეტიკის განვითარებასთან დაკავშირებით უნდა მოვიხსენიოთ ისიც, რომ გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით ფართოდ გაიშალა მუშაობა ლოგოპედიაში (ა. კაიშაური, ნ. ასამბაძე, თ. უგულავა, ექიმი ა. ჩარგეიშვილი). შეიქმნა ქართული ლოგოპედია: დაიბეჭდა მთელი რიგი გამოკვლევა ქართული დეფექტური მეტყველების გამოსწორების სპეციფიკის შესახებ და მზადდება კადრები. ქართველმა ლოგოპედებმა — გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით — მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სამამულო ომში კონტუზებულ მეომართა დაზიანებული მეტყველების აღდგენა-გამოსწორებაში. ენის ინსტიტუტში ჩამოყალიბებულია უჯრედი ლოგოპათთა შესასწავლად (ა. კაიშაური), აგრეთვე ქართული სამეტყველო ბგერების ბიომექანიკის შესასწავლად (ა. ჩარგეიშვილი). მეღერო ფარინგალური ხშულძსკდომის დადგენას ლოგოპათის მეტყველებაში (გ. ახვლედიანი) დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს ისტორიული ენათმეცნიერებისათვის.

* *

X. ინდო-ევროპულ ენათა შესწავლა. ზოგადი ენათმეცნიერების განვითარებასთან და აგრეთვე გ. ახვლედიანის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული ინდო-ევროპულ ენათა კვლევის საქმეც საბჭოთა საქართველოში. პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ძველი ინდური (სანსკრიტი), რომლის კურსი იმთავითვე იკითხება თბილისის უნივერსიტეტში და რომლისათვისაც გამოცემულია სახელმძღვანელო: გ. ახვლედიანის „სანსკრიტი. მოკლე გრამატიკა და ნაწყვეტები კლასიკური სანსკრიტიდან და რიგვედიდან ლექსიკონითურთ“ (თბილისი, 1920).

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ოსური ენის კვლევა, რაც ჩვენს სამუშაოთა საქართველოში და წარმატებით ვითარდება (ინიციატორი და მთავარი წარმომადგენელია გ. ახვლედიანი).

გ. ახვლედიანის გამოკვლევებმა ამ დარგში მიიქცის ყურადღება და მაღალი შეფასება მიიღეს როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საზღვარგარეთის სპეციალისტებისაგან. ამ ნაშრომებიდან აქ აღვნიშნავთ: 1. „პროთეტიული ხმოვნის საკითხისათვის ოსურში“ (ჩვენი მეცნიერება, 1923), 2. „საში «ტ» ოსურში და მათი მიმართება ძველი ირანულის შესაფერ ბგერებთან“ (წელიწადეული, 1923); ამ შრომამ საფუძველი ჩაუყარა ოსური ენის თანხმომავთა ახალ გაგებას (დადასტურებულია ვ. აბაევის გამოკვლევებით), 3. „Dativus praedicativus ოსურ ენაში“ (1923). საყურადღებოა აგრეთვე შრომები ოსური ენის დიალექტოლოგიიდან უმთავრესად ფონეტიკური ხასიათისა, რომელთა საფუძველზე დადგენილია ოსური ენის დიალექტების სრულიად ახალი კლასიფიკაცია (გ. ახვლედიანის „ოსური ენის ისტორიისათვის“. I. თბილ. უნივ. მოამბე, V, 1935; II. „ილლუზიძე ი. და მისი ოსურად დაწერილი შრომები“: იქვე, VI, 1926; „გემინირებული და ნახალიზებული“ აფრიკატების შესახებ ოსური ენის დვალურ დიალექტში: „თბილ. უნივ. შრომები“, V, 1936 და სხვა).

უნდა აღვნიშნოს პოოფ. ვ. ი. აბაევის ორი მნიშვნელოვანი ნაშრომი: „შესწორებანი ზელენჩუკის ძველი ოსური წარწერის წაკითხვაში“ (საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 2, 1944) და „არმაზის ბილინგვის გარშემო“ (იქვე: ტ. V, № 8, 1944). პირველში ავტორმა შეიტანა მნიშვნელოვანი შესწორებანი ამ ტექსტის იმ წაკითხვაში, რომელიც ჰქონდა აკად. ვ. მილერს, ხოლო მეორეში მან გამოიყენა ოსური მასალა არმაზის ბილინგვის ზოგი საკუთარი სახელის გასარკვევად, აგრეთვე გამოთქვა საყურადღებო მოსაზრებები მთელ რიგ იმ საკითხებზე, რომელნიც დასმულია პროფ. გ. წერეთლის ნაშრომში: „არმაზის ბილინგვა“.

სპეციალურად უნდა აღვნიშნოს სომხური ენისა და სომხური ლიტერატურის კვლევის, საერთოდ არმენოლოგიის განვითარება საბჭოთა საქართველოში. სომეხი ხალხის ენა, ისტორია და კულტურა, რომელიც ქართველ ხალხთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობით არის დაკავშირებული, ხოლო ამჟამად ერთი ურყევი სტალინური მეგობრობით არის შესისხლხორცებული საბჭოთა კავშირის დიდი ხალხების ოჯახთან, ფართო მეცნიერული შესწავლის საგნად იქცა საბჭოთა პერიოდში. მეტიც: ქართველოლოგიის მეცნიერულ საქურველში სომხური ენის, კულტურის, ისტორიის ცოდნა მიუცილებელ ელემენტად არის შესული. არმენოლოგიის ვითარების დასახასიათებლად საბჭოთა საქართველოში აღვნიშნავთ: არმენოლოგიის კათედრის (გამგე პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი) არსებობას ტფ. სახ. უნ-ში და იმ საპატიო ადგილს, რომელიც ეკირა არმენოლოგიურ სამუშაოებს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში და ამჟამად უჭირავს ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტში.

არმენოლოგიური მუშაობა საბჭოთა საქართველოში მიმდინარეობდა ძირითადად სამი ხაზით: სომხური ენის, სომხური ლიტერატურის ისტორიისა და სომხეთის ისტორიის სწავლებისა და კვლევა-ძიების (უმალღესი სასწავლებლები, კვლევითი დაწესებულებები) ხაზით. აღზრდილია ახალგაზრდა არმენისტები სახელმწ. უნივერსიტეტში და სხვაგან.

ენის კვლევის ხაზით წარმოებს ძველი სომხურისა და ძველი ქართულის ურთიერთმიმართების გარკვევა და გამოცემულია გრამატიკები და ქრესტომათიები (ლ. მელიქსეთ-ბეგი, ილ. აბულაძე, ივ. ბეგლაროვი ივ. შილაკაძე)¹.

* *

ქართველი ენათმეცნიერებას ყურადღების ცენტრშია სხვა ინდოევროპულ ენათა კვლევა-ძიებაც.

სლავთმეტყველება წარმოდგენილია სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტში მხოლოდ რუსული ენის შესწავლით (რუსული ენის კათედრის გამგე — პროფ. დ. მგელაძე). თავდაპირველად უნივერსიტეტში წარმოებდა მხოლოდ პედაგოგიური მუშაობა რუსული ენის სწავლების სახით. უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში გაიშალა ინტენსიური მუშაობა ჯერ სამეცნიერო კადრების მოსამზადებლად, ხოლო შემდეგ გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით მეცნიერული კვლევა-ძიების საწარმოებლად: მეცნიერულ-მეთოდოლოგიურ საკითხებზე (ს. ფურცელაძე), რუსული ენის დიალექტოლოგიის საკითხებზე (გ. ქიქოძე, მულკიჯანიანი, ნ. ხიდაშელი) და რუსული ენის ისტორიის საკითხებზე (დ. მგელაძე, ს. ვაჩნაძე და კრწმერი), აგრეთვე რუსული ლიტერატურის კლასიკოსთა ენის შესასწავლად (ს. ვაჩნაძე, ა. სამსონია, თ. მრევლიშვილი, თ. ხარაზიშვილი). აღსანიშნავია აგრეთვე ვრცელი გრამატიკა ქართული სკოლისათვის „Учебник грамматики русского языка“ (გ. ახვლედიანისა, 1942).

მუშაობა გერმანისტიკაში (კერძოდ ინგლისური ენათმეცნიერება) და რომანისტიკაში (უცხო ენათა კათედრა უნივერსიტეტში, გამგე ნ. ქადაგიძე) ჯეროვანად უმთავრესად მიმდინარეობს კადრების მომზადების გზით (გ. ახვლედიანის მონაწილეობით).

უნდა აღინიშნოს აგრეთვე რამდენიმე საყურადღებო ნაშრომი ბერძნულ-ბიზანტიური ფილოლოგიის წარმომადგენლისა — პროფ. ს. ყაუხჩიშვილისა: „ბერძნულ მამაკაცთა სახელთა გადმოცემისათვის ქართულში“ (1925), „აღიშნის ოთხთავის ბერძნულნი“ (1930); ამ უკანასკნელს დიდი მნიშვნელობა აქვს ამ უძველესი წერილობითი ძეგლის რედაქციული ვითარებას გასარკვევად, აგრეთვე ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის. ს. ყაუხჩიშვილმა ამოწმდა აგრეთვე რამდენიმე ბერძნული ეპიგრაფიკული ძეგლი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაცული (ნოსირში, მცხეთაში, არმაზში). არმაზის ბილწგვის ბერძნული წარწერა, როგორც ცნობილია, საუუძველესი გახდა არაქსის ტექსტის ამოსაკითხავად (იხ. მისი წერილი «საქ. მეცნ. აკად. მოამბეში», ტ. II № 1—2, 1941).

¹ სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტში ჩატარდა დისერტაციის დაცვა სომხური ფილოლოგიის დოქტორის ბარბარე ზაქარიასისა თემაზე: „სომხური დიალექტების ახალი შტო“ (სომხურად: „ახალი შტო სომხური დიალექტების რეცენზიები: А. Шанидзе. Новый труд по армянской диалектологии“ (თბილ. უნივ. შრომები, ტ. XV), Л. Меликсет-беков. По поводу статьи Шанидзе по армянской диалектологии, (იქვე).

თვით ბერძნული ენის ისტორიის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ს. ყაუხჩიშვილმა დაადგინა საქართველოს ბერძენთა (წალკა, აფხაზეთი) პეტყველების კავშირი ბერძნული ენის პონტიურ დიალექტთან. რამდენადაც დღემდე უცნობლად იყო მიჩნეული, რომ ბერძნულის ცოცხალი დიალექტები წარმოშობილი არიან ატიკური სალიტერატურო დიალექტიდან.

ასეთია ზოგადად ენათმეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში. თუ დასაწყისში მხოლოდ ორი პირი წარმოადგენდა ენათმეცნიერების ყველა დარგს, ამჟამად საქართველოში ჩვენ გვაქვს რამდენიმე ცალკე ჩამოყალიბებული სამეცნიერო დისციპლინა და გვყავს რამდენიმე ათეული მეცნიერი მუშაკი, რომელთა მიერ დამუშავებულია ასეული თემა ქართველური, კავკასიური, სემიტური, ინდოევროპული და სხვა ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემების შესახებ.

კერძოდ მნიშვნელოვან მიღწევად უნდა მივაჩნიოთ ის, რომ ამჟამად საქართველოში ჩამოყალიბებულია და მკვიდრ ნიადაგზე დგას ზოგადი ენათმეცნიერება—როგორც ცალკე დარგი, რომელიც დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდოლოგიის საფუძველზე ამუშავებს ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემებს.

გ. აბულედიანი

ვლ. ფანჩიძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

- | | |
|---|----|
| 1. ლ. გოკიელი და ა. ქუთელია — ფილოსოფია | 11 |
| 2. რ. ნათაძე — ფსიქოლოგია | 11 |
| 3. გ. თავზიშვილი — პედაგოგია | 11 |
| 4. გ. ახვლედიანი და ვ. ფანჩიძე — ენათმეცნიერება | 11 |
| 5. კ. კეკელიძე — ქართული ლიტერატურის ისტორია | 11 |
| 6. ირ. სურგულაძე — სამართალი | 11 |

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი ქ. 10.7.46.
 ხელმოწერილია დასაბუქდად 10.7.46.
 შგვ. 516 უგ 02999